პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი [illegible]

კომუნისტი

ს. ს. ს. ჩ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 183 შაბათი 1, აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 183

მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— გაზეთების ცნობით სამხრეთ სლავიის მთავრობას განზრახვა აქვს იცნოს ს. ს. რ. კ.

— ლონდონის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა გრძელდება.

— უკანასკნელ ხანებში გერმანიაში გართულებულმა მდგომარეობამ შეარყია კუნოს მთავრობის მდგომარეობა.

— საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქებში აჯანყება დაიწყო.

— საკონტრიბუციო საკითხის შესახებ მოკავშირეებს შორის შეთანხმება არ მომხდარა.

— ფრანგებმა რურის ოლქის ზოგიერთ ქალაქებში საალყო წესები გამოაცხადეს.

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა.

ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიურო,

რომელიც არჩეულია ტფილისში, ქუთაისში და ოზურგეთში გამართულ კონფერენციებზე,

აცხადებს ყველა ადგილობრივ საინიციატივო ბიუროების საყურადღებოთ, რომ **ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა მოწვეული იქნება ტფილისში 22 აგვისტოს.**

დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოქვეყნებული

საინიციატივო ბიუროები ყველა ადგილებიდან, სადაც კონფერენციები გაიმართა, უნდა გამოცხადდენ სათანადო მასალებით და დელეგატების სიებით 21 აგვისტოს არჩეულ დელეგატების სწორი რიცხვის გამოსარკვევად და ყრილობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საორგანიზაციო ხასიათის საკითხების გადასაჭრელად.

იმ ადგილებმა, სადაც კონფერენციები არ დამთავრებულა, უნდა დააჩქარონ, რათა აღნიშნულ ვადაზე წარმოგზავნონ დელეგატები.

საინიციატივო ბიურო: **ა. ფარნიევი. ჭუმბურიძე, შენგელია, რუხაძე, კაიტანჯიანი, სიხარულიძე, დუკაშვილი, ქორიძე, თედოშვილი, ვაჩარაძე, გნოლიძე, ალიხანოვი. მიკირტუმოვი, დოლობერიძე.**

კავკასიის ცალკე არმიის ხუთი წლის თავისთვის.

14 აგვისტოს სრულდება კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის თავი.

12 აგვისტოს, კვირას, საღამოს 7 საათზე წითელარმიელების ნაწილები მუშების დელეგატებთან ერთად მართავენ კრებებს. კრებები დანიშნულია შემდეგ ადგილებში:

1. ნავთლუღი—სამხედრო ჰოსპიტალი.
2. არსენალის მთა—საგუშაგო ბატალიონის კლუბი.
3. ავლაბარი—მე-9 პოლკი.
4. მუშათა ცენტრალური კლუბი—მიხეილის პროსპ.
5. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„სტელლა“.

ყველა ამ კრებებზე საჭიროა გაიგზავნონ მუშათა დელეგაციები, ხოლო პირველმა და მეოთხე რაიკომებმა უნდა მოამზადონ კლუბები, მორთონ დროშებით, დანიშნონ პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, რომელნიც წესრიგს დაიცავენ.

საჭიროა ყველა რაიონებმა კავშირი დაიჭირონ სათანადო ჯარის ნაწილებთან.

კრებებზე მომხსენებლებს გაგზავნის კავკასიის ცალკე არმია.

მისასალმებელი სიტყვებით უნდა გამოვიდენ კრებაზე დამსწრე—მუშებიც.

ორშაბათს, 13 აგვისტოს, გაიმართება საბჭოს საზეიმო სხდომა.

სამშაბათს, 14 აგვისტოს, დილის 10 ნახ. საათზე გაიმართება აღლუმი თავისუფლების მოედანზე.

იმის გამო, რომ სამშაბათი არ არის უქმე დღე, მუშების მონაწილეობა ამ აღლუმში გამოიხატება რაიონებიდან 150–200 კაცისაგან შემდგარ დელეგაციების გაგზავნაში.

დროშებით და პლაკატებით მუშათა დელეგაციები უნდა შეიკრიბონ პროფკავშირთა საბჭოსთან, საიდანაც მწყობრად გაემართებიან თავისუფლების მოედანზე.

საჭიროა წარმოებებში ჩატარდეს წინასწარი სააგიტაციო კამპანია მოხსენებების სახით.

მომხსენებელი უნდა მოითხოვონ კავკასიის ცალკე არმიის პოლიტგანყოფილებაში.

ტფ. კომიტ. საგ.-საპრ. განყოფ. გამგე მ ესხენი.

დარაჯი რევოლუციის

ისტორია დიდ დროს მოანდომებს მშრომელთა იმ გრანდიოზული და ძლევამოსილი ბრძოლის შესწავლას, რომელსაც ეწოდება ოქტომბრის რევოლიუცია. მუშურ-გლეხური მასების შეიარაღებული ბრძოლა მეფის შავ გენერლების ჯარებთან და საერთაშორისო ბურჟუაზიის ინტერვენციონისტურ რაზმებთან სავსეა სამაგალითო ენერგიის, გმირობის და თავდადების ეპიზოდებით. მხოლოდ გაბედული და უმაგალითო გმირული ბრძოლის შემდეგ გახდა შესაძლო საუკუნოებრივ მონობის და კლასობრივი ბატონობის მოსპობა და მის ნაცვლად მშრომელთა დიქტატურის გამოცხადება დედამიწის თითქმის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

წითელი არმია შეიქმნა თვით გააფთრებული ბრძოლის პროცესში და ვიდრე რეგულიარულ ორგანიზაციულათ მოწყობილ ჯარების სახეს მიიღებდა, დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მეტად მძიმე და აუტანელ პირობებში უხდებოდა მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოება აჟარებელ შინაურ და გარეულ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან. ძლიერ და გამოცდილ მტერთაგან ალყა-შემორტყმულმა მან შესძლო კონტრ-რევოლიუციონური ცეცხლის რკალის თანდათანობითი გარღვევა და მეფის გენერლების ურდოების სრული განადგურება. მტკიცე ნებისყოფით და პროლეტარულ შეგნებით შეიარაღებულმა წითელმა არმიამ უზრუნველჰყო საბჭოთა სისტემის დაცვა და განმტკიცება. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მან მოუპოვა მშრომელთ მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობის პირობები. ის დღესაც ფხიზლათ სდგას საერთაშორისო პროლეტარიატის სადარაჯოზე და მზად არის თავხედ მტრის შემოტევას დაუყოვნებლივ კონტრშეტევით უპასუხოს და მშრომელთა დიქტატურის დასამხობათ ამოწვდილი ხმალი მტერს ხელში შეატეხოს.

რუსეთის წითელი არმიის ბრძოლის გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა იმ არმიამ, რომელიც დღეს იმყოფება ამიერ-კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში.

კავკასიის ცალკე არმიის ბრძოლა დაიწყო ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც კავკასია მოწყვეტილი იყო ცენტრს და შავრაზმელი გენერლების ურდოების და შოვინისტურ-ნაციონალისტურ პარტიების სათარეშო ბანაკს წარმოადგენდა. მისი ბრძოლა საერთო ცენტრთან დაშორების გამო კიდევ უფრო მეტი სიძნელით იყო სავსე, და მხოლოდ მტკიცე პროლეტარული შეგნებით და ნებისყოფლობითი დისციპლინით იყო გამოწვეული მისი გამარჯვება.

გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ამ არმიამ შესძლო ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის და შემდეგ ამიერ-კავკასიის გაწმენდა კონტრ-რევოლიუციონური ძალებისაგან და ამართა წითელი დროშა კომინტერნისა. 1920 წლის გაზაფხულზე ეს არმია ბაქოს აჯანყებულ პროლეტარიატის დასახმარებლათ მიეშურება და თითქმის უბრძოლველად იკავებს აზერბეიჯანს, ამხობს რა ერთი დაკვრით მუსავატისტურ-ბეკურ აზერბეიჯანის მთავრობას. მალე 1920 წლის დასასრულში ის სომხეთის მშრომელთა მოწოდებას ეხმაურება და მიეშურება დაშნაკური მთავრობის დასამხობათ და სომხეთის მშრომელთა დიქტატურის დასამყარებლად. რჩება საქართველო, რომელიც იმ დროს ამიერ-კავკასიაში კონტრ-რევოლიუციის ერთადერთ ბუდეთ და სიმაგრეთ ითვლება, და ევროპის ბურჟუაზიის პროვოკაციულ ზრახვათა განმახორციელებელ იარაღათ ხდება. საქართველოს მუშა ხალხი და მშრომელი გლეხობა თავიდანვე ისწრაფოდა საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენისაკენ, მაგრამ მენშევიკური მთავრობა ცეცხლით და მახვილით უპასუხებდა აჯანყებულ მშრომელ ხალხს. მხოლოდ 1921 წლის დასაწყისში შესაძლო გახდა საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება.

ამნაირად წითელი არმიის დახმარებით შესაძლო გახდა მთელ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მშრომელთა დიქტატურის გამოცხადება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დამყარება. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა დასასრული იმ გაუთავებელ ომებს, რომელსაც ნაციონალისტურ-შოვინისტური მთავრობები აწარმოებდენ. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვარდა მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიაში და შესაძლო გახდა აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება, დანგრეულ-განადგურებული მეურნეობის ფეხზე წამოყენება. მშრომელი ხალხი სიხარულით შეხვდა წითელი არმიის ჩვენში შემოსვლას მიუხედავათ მენშევიკური მთავრობის პროვოკაციისა, და დღესაც იმედით და თანაგრძნობით შეჰყურებს მას.

მიუხედავათ მენშევიკური პარტიის მტკიცებისა, კავკასიის ცალკე არმიის საოკუპაციო მიზნების შესახებ, ამიერ-კავკასიის მშრომელებმა იციან, რომ წითელი არმია მათი ინტერესების ნამდვილი დამცველია, მათი საიმედო მოკავშირეა. პროლეტარიატმა და ღარიბ გლეხობამ იცის, რომ კავკასიის ცალკე არმიის დაუხმარებლათ ამიერ-კავკასია ყოველთვის ევროპის გაუმაძღარი იმპერიალისტების სათარეშო იქნებოდა და ის ვერასოდეს მშვიდობიანობას ვერ ეღირსებოდა. მათ იციან კავკასიის ცალკე არმიის დამსახურება კავკასიის მშრომელთა წინაშე და ეს ნათლად გამოჩნდება 14 აგვისტოს, ამ არმიის არსებობის ხუთი წლის თავზე.

როგორც ქალაქს, ისე სოფლის მშრომელი ხალხი ამ დღეს ერთხელ კიდევ აღნიშნავს თავის განუყრელ კავშირს მასთან და მადლობით მოიხსენიებს მის წარსულ გმირულ ბრძოლას კავკასიის ხალხთა განთავისუფლებლათ.

ადგილობრივი ფინანსები

II.

საბჭოთა ხელისუფლების ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან ერთად წამოიჭრა საკითხი ადგილობრივ ორგანოთა ხარჯების ადგილობრივი საშუალებით დაკმაყოფილების შესახებ.

ეს საკითხი გადაწყდა კიდეც დადებითად: პირველად რუსეთში, 1921 წლის 29 აგვისტოს, და შემდეგ საქართველოში, 1922 წლის 5 თებერვალს, ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლითაც ადგილობრივ ორგანოთ გადაეცათ შემოსავლის წყაროები ადგილობრივ ხასიათის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ ზომას, მთავრობის ამ ნაბიჯს ორნაირი მიზანი ჰქონდა. პირველი — სახელმწიფო ხაზინის განტვირთვა იმ ადგილობრივ ხარჯებიდან, რომელთა დაკმაყოფილება ადგილობრივ საშუალებებიდან შეიძლებოდა, და მეორე—უკეთესად მოწყობა ადგილობრივ მეურნეობისა, რომლის გამგებლობა და ორგანიზაცია ცენტრიდან თითქმის შეუძლებელი იყო.

აღნიშნული მიზნით საქართველოში პირველად გამოიცა დებულება 1922 წლის 5 თებერვალს. ამ დებულებით ადგილობრივ ორგანოთა შემოსავლის წყაროებს შეადგენენ: გადასახადები და გამოსაღებები უძრავ ქონებაზე ქალაქებში, ვაჭრობა მრეწველობაზე, კერძო პირთა კუთვნილ ოთხფეხ ცხოველთა და ეტლებზე, სხვა და სხვა გადასახადები და ბაჟები, შემოსავალი ადგილობრივ ორგანოთა საკუთარ მიწებიდან და მამულებიდან, სახლებიდან, წარმოებიდან, სახელმწიფო გადასახადებიდან გადარიცხვანი, აღმასკომის მიერ გაწერილ ხარჯების ანაზღაურებანი, ჯარიმები და უკიდურეს შემთხვევაში მთავრობის დახმარებანი—დოტაციები.

ეს კანონი არსებობდა და მოქმედებდა საქართველოში 1923 წლის 2 აპრილამდის, როდესაც გამოვიდა ა | კ. ცენტრალური აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს ახალი დეკრეტი, რომლითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ყველა ის ხარჯები, რომელნიც გადაეცა ადგილობრივ ორგანოთ საკუთარი შემოსავლიდან დასაფარავად, და ამ შემოსავლის წყაროები.

ახალი, ე. ი. 2 აპრილის დეკრეტით ადგილობრივ ორგანოთ გადაეცათ ბევრი ისეთი ხარჯები, რომელნიც, აღნიშნულ დეკრეტის გამოცემამდის, კმაყოფილდებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ გვარ ხარჯებს შორის მთავარ ყურადღებას იპყრობს:

1) მაზრის და ქალაქის აღმასკომების და მათი ყველა განყოფილებათა შენახვა,

2) თემების და რაიონების აღმასკომების შენახვა,

3) სოფლის საბჭოების შენახვა,

4) მილიციის შენახვა ტფილისსა, ბაქოსა და ბათომში (სხვა ადგილებში მილიციის შენახვა ევალება სახელმწიფოს),

5) გამასწორებელ სახლების შენახვა, გარდა იმ სახლებისა, რომელნიც დატოვებულნი არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე ცალკე სიით,

6) კომუნალურ მეურნეობის ორგანოთა შენახვა,

7) აგება, შენახვა და შეკეთება კომუნალურ შენობებისა,

8) დასახლებულ ადგილების კეთილმოწყობა,

9) კომუნალურ წარმოებათა შენახვა,

10) სანიტარულ პირობების გაუმჯობესება და სანიტარულ ზედამხედველობის შენახვა,

11) ცეცხლის საწინააღმდეგო ზომები,

12) გზების შენახვა, შეკეთება და ახლების გაყვანა.

13) ყველა ტიპის სკოლების ორგანიზაცია და შენახვა, გარდა პედაგოგიურ პერსონალის ხარჯებისა;

14) მოწყობა და შენახვა: საბავშვო და ძუძუმწოვართა სახლებისა, კლუბებისა და სკოლებისა მოზრდილთათვის, საბავშვო ბაღებისა, კოლონიებ სა და მოედნებისა;

15) ადგილობრივ მნიშვნელობის მუზეუმის, არქივების და სურათების გალერეის შენახვა;

16) სახალხო სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მოზრდილთათვის საღამოს კურსების შენახვა;

17) ფოტო-კინოს, გამოფენის და ექსკურსიების ხარჯები;

18) თეატრები, სანახაობანი და სტუდიები, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტზე ცალკე სიით დატოვებულებისა და სხვა;

19) ყოველგვარ სამკურნალო დაწესებულებათა და საავადმყოფოების შენახვა, ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების და სხვა;

20) სახალხო მოსამართლეთა შენახვა და მათი დაწესებულებების ორგანიზაცია, მოწყობა და შენახვა.

21) ინვალიდების უზრუნველყოფა, მათი გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეში მაზრის შიგნით და სხვა.

22) საადგილ-მამულო კომისიების შენახვა, საჩვენებელ მინდვრების ორგანიზაცია, მოწყობა და შენახვა და სხვა ყოველგვარი ზომები სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და გასავითარებლად.

ამგვარათ ადგილობრივ ორგანოთა მოვალეობა-ვალდებულებანი საგრძნობლათ გაიზარდა და გაღრმავდა და აღნიშნულ მოვალეობათა განსახორციელებლად გადაეცათ მათვე შემდეგი საშუალებანი:

1) კომუნალურ მეურნეობის შემოსავალი;

2) იმ დაწესებულებათა შემოსავალი, რომელთა შენახვა გადაეცა ადგილობრივ ორგანოთ;

3) შემოსავალი იმ მამულებიდან და საზგრო მუხლებიდან, რომელნიც იმყოფებიან აღმასკომის სრულს და უშუალო განკარგულებაში.

მაგრამ შემოსავლის ეს წყარო ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტში თვალსაჩინო ადგილს ახლო მომავალში ვერ დაიჭერს. ყველასათვის ცხადია, რომ იმ კომუნალურ მეურნეობას, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ, შემოსავლის მატება არ შეუძლიან და არც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ახლო მომავალში მისცემს რაიმე შემოსავალს. როგორც აღნიშნა ამხ. ლევინმა ფინანსიურ მომუშავეთა კონფერენციაზე: „ყველამ კარგად ვიცით, რასაც წარმოადგენს დღეს ჩვენი კომუნალური მეურნეობა—დანგრეული წყალსადენი, სიკვდილის პირამდის მისული ელექტრონის სადგური და ჭერჩამონგრეული სახლები“,— მაშასადამე, ასეთს მეურნეობას, რომელსაც ფეხზე დასაყენებლად კაპიტალური შეკეთება სჭირდება, მოგების მოცემა არ შეეძლო და არც შეუძლიან.

ადგილობრივ ორგანოთა მუშაობა კომუნალურ მეურნეობის დარგში სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, თუ ის შესძლებს დღევანდელ პირობებში ამ მეურნეობის უზარალოდ წარმოებას.

2 აპრილის დეკრეტით ადგილობრივ ორგანოთათვის გადაცემულ შემოსავლის წყაროებიდან მთავარ ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო გადასახადებიდან გადარიცხვანი და ამავე გადასახადებზე დამატებანი, რომელთაც ადგილობრივ ორგანოთათვის ყველა სხვა გადასახადის ხასიათის შემოსავალთა შორის პირველი ადგილი უჭირავთ.

აღნიშნული დეკრეტით ადგილობრივ ორგანოთ შემდეგ სახელმწიფო გადასახადებიდან ეძლევათ:

ა) სარეწაო გადასახადიდან (ძირითადის და დამატებითი) შემოსულ თანხის 25 პროც.

ბ) შრომის და ტვირთ ზიდვის ხარკიდან (გაუქმებულია) 50 პროც.

გ) შემოსავლის და ქონების კვალობაზე გადასახადიდან 25 პროც.

დ) ტყის შემოსავლიდან 25 პროც.

ე) და ერთდროულ სამოქალაქო გადასახადიდან თვითეულ კერძო შემთხვევაში ა | კ. ცაკის დადგენილებით.

ეს 25 პროც. გადარიცხვანი სახელმწიფო გადასახადებიდან დიდს შემოსავალს აძლევს ადგილობრივ ორგანოთ. ასეთივე გადარიცხვანი გათვალისწინებული იყო საქართველოში 2 აპრილის დეკრეტის გამოცემამდე მომქმედ კანონითაც, მაგრამ ახალმა დეკრეტმა ადგილობრივ ორგანოთ მისცა უფლება სახელმწიფო გადასახადებზე დამატებისა 100 პრ. ადის, რაიც სრულიად უცხოა 5 თებერვლის კანონისათვის. აღნიშნულ დამატებებიდან შემოსავალი უმთავრესი წყაროა ადგილობრივ ორგანოთათვის.

ხსენებული კანონი ადგილობრივ ორგანოთ, რესპუბლიკის ცაკის დასტურით, შეუძლიანთ შემოიღონ დამატებანი 100 პროც. ამდის შემდეგ სახელმწიფო გადასახადებზე:

1) სარეწაო გადასახადის ძირითად განაკვეთზე, 2) ფუფუნების ნივთების ვაჭრობის ნებართვის მოწმობაზე, 3) მაგარ სასმელებით და თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობის პატენტზე, 4) სასამართლოს ბაჟზე და 5) ნოტარიალურ აქტების დამოწმება-დამტკიცების სახელმწიფო გადასახადზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულ 100 პროც. დამატებებისა, ადგილობრივ ორგანოს შეუძლიან შემოიღოს აგრეთვე 25 პროც. დამატება სარეწაო გადასახადის დამატებითი განაკვეთზე.

აღნიშნული გადარიცხვანი და დამატებანი ადგილობრივ ორგანოთათვის დიდი შენაძენია მით უმეტეს, რომ მათ გაწერა-აკრეფაზე მას არაფერი არ ეხარჯება და ასეთები მექანიკურად იკრიბება სახელმწიფო გადასახადებთან ერთად ფინანსთა კომისარიატის ორგანოთა მიერ, შედის ხაზინაში, საიდანაც ადგილობრივ ორგანოს შეუძლიან მიიღოს, როდესაც კი ამას მოისურვებს.

გარდა აღნიშნული შემოსავლის წყაროებისა, ადგილობრივ ორგანოთ იმავე 2 აპრილის დეკრეტით მიეცათ სხვა და სხვა გადასახადები და საშუალებები, რომელთა შესახებ გვექნება საუბარი.

ს.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარეშემო

ს. ს რ. კ. და იაპონია

ტოკიო, 7 აგვისტო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონია თანახმაა დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება რუსეთთან, თუ კი რუსეთი მოისურვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონია მოითხოვს მეორე წინასწარ კონფერენციის მოწვევას გადაუჭრელ საკითხების გასარკვევად.

რუსეთ რუმინეთის მოლაპარაკება.

ვენა, 8 აგვისტო. რუმინეთის პრესის ცნობით, რუმინეთის დელეგაცია გაემგზავრა რა ოვიდიოპოლში რუსეთის დელეგაციასთან შესახვედრათ **უკანასკნელი ცნობების მიხედვით უკვე დაიწყო მოლაპარაკება დელეგაციებს შორის. ახლო მომავალში მოსალოდნელია განახლდეს გემების მიმოსვლა რუმინეთის ნავთსადგურებსა და ოდესას შორის.**

სამხრეთ-სლავია ცდილობს რუსეთთან დაახლოვებას.

ვენა, 8 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის გაზეთის: „ტოგოვიცკი გლასნიკ“-ის ცნობით, **სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასდგა ნაბიჯები საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის განახლების მიზნით. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება.**

ინჟინერი ოზოლი ლატვიის ელჩი ს. ს. რ. კავშირში.

რიგა, 8 აგვისტო. კოალიციონურ ფრაქციების ლიდერების თათბირმა მოიწონა ინჟინერ ოზოლის კანდიდატურა ლატვიის ელჩის თანამდებობაზე მოსკოვში. საქმეთა რწმუნებულა ვირზინგი რჩება საელჩოს მრჩევლათ.

სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა რუსეთსა და პოლონეთს შორის.

ვარშავა, 8 აგვისტო ვარშავაში დაბრუნდა პოლონეთის საელჩოს რწმუნებული ლოპაცკი, რომელმაც გამოაცხადა იმ მოხოვნელების მიღება, რომელთაც რუსეთთან ვაჭრობა აინტერესებთ.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ინგლისის პოლიტიკა გაუგებრობას იწვევს.

ლონდონი. 8 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენი“ (პროგრესიულ ლიბერალური გაზეთი) სწერს: „ინგლისის მთავრობამ რაკოვსკისთან ინცინდენტის გამოწვევით ახალი დიპლომატიური კონფლიქტი შექმნა.

ბევრს უკვირს, როგორ არ ესმის ინგლისის მთავრობას რაკოვსკისათვის წარდგენილ ბრალდების უსაფუძვლობა და აგრეთვე რუსეთის ბაზრის გამოყენების მნიშვნელობა ინგლისის ვაჭრობისათვის“. გაზეთს მოყავს სენატორ ბორას შემდეგი განცხადება: **„თუ დავიცდით იმ დრომდი, სანამ საბჭოთა მთავრობა გამონახავდეს ისეთ კაცს, რომელსაც არასოდეს კრიტიკა არ გაუკეთებია ინგლისისათვის, მაშინ ჩვენ მთელი საუკუნე მოგვიხდება ცდა. ამგვარათვე ძნელია ისეთ ინგლისელ დიპლომატის გამონახვა, რომელსაც არ გაელაშქრებიოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ“.**

ბორამ აგრეთვე განაცხადა; „თუ ინგლისის მთავრობა საჭიროებს საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიურ ურთიერთობას, მაშინ რატომ არ უნდა იქნეს აღდგენილი ამ უკანასკნელთან ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება?“

რუსეთი და ჩინეთი

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხი.

პეკინი. 8 აგვისტო. ს. ს რ. კ. ჩინეთის რწმუნებულის პროტესტის გამო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიწების გადაცემის წინააღმდეგ ჩინეთის მთავრობის მიერ, ს. ს. რ. კ. რწმუნებულის მოადგილემ დავითიანმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარის დროს განაცხადა: „პროტესტი მიმართულია განსაკუთრებით ჩინეთის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ და მას მიზნათ არა აქვს რკინის გზის ეხლანდელ სამმართველოს დაცვა. გზის ეხლანდელი ადმინისტრაცია თეთრგვარდიელების დასაყრდენ ძალას წარმოადგენს, რომელნიც რუსეთის წინააღმდეგ მუშაობენ. საბჭოთა რუსეთს განზრახვა არა აქვს განაგრძოს მეფის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა ან და დაარღვიოს ჩინეთის ხალხის სუვერენული უფლებები. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩინეთის ხელისუფლების მხრივ არამეგობრულ აქტს ჰქონდა ადგილი რუსეთის მიმართ. უცხო სახელმწიფოების ჩარევა ამ საკითხში სრულებით გაუგებარია, რადგან ამ საკითხის გადაჭრა შეუძლიანთ მხოლოდ რუსეთსა და ჩინეთს.

იმედი მაქვს, სთქვა დავითიანმა, რომ ეს ინცინდენტი ერთხელ კიდევ გვაჩვენებს ჩინეთის რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობასთან დაახლოვების აუცილებლობას, რუსეთი კი ყველაზე უფრო ახლობელი და ერთგული მეგობარია ჩინეთის“.

გერმანიის ამბები

სოციალ-დემოკრატიის ნაწილს სურს კომუნისტებთან მუშაობა.

ბერლინი. 7 აგვისტო. ფრანკფურტის სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფოლკს-შტიმმ“, **მოითხოვს სოციალ-დემოკრატიის თანამშრომლობას კომუნისტებთან და აღნიშნავს, რომ ბერლინში, სადაც სოციალ-დემოკრატია კომუნისტების წინააღმდეგ იბრძვის, მან დამარცხება განიცადა მელითონეთა ყრილობაზე; საქსონიაში კი, სადაც სოციალ-დემოკრატია კომუნისტებთან თანამშრომლობს მელითონეთა არჩევნები სოციალ-დემოკრატიისათვის კარგათ დამთავრდა.**

ფინანსიური კრახი აუცილებელია.

ბერლინი. 7 აგვისტო. მარკის კურსი განაგრძობს დაცემას. დოლლარის ოფიციალური კურსი უდრის 3 300.000 მარკას, არაოფიციალური კი 3.700.000! ინგლისის გირვანქების არაოფიციალური კურსი—20,000,000 მარკა; გერმანიის საზოგადოებრივ აზრს მარკის კურსის მომავალი ბედი გამოურკვევლად მიაჩნია. გაზეთები წინადადებას იძლევიან შემოღებულ იქნას ახალი უფრო მტკიცე ვალიუტა.

ვერ უშველის.

ბერლინი. 7 აგვისტო. ფინანსიურ კრახის საფრთხის გამო, მთავრობამ გამოიმუშავა მთელი რიგი საგადასახადო პროექტებისა. განზრახულია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის 100 გადიდება, 140 პრ. გადიდება გადასახადებისა აქციონერულ საზოგადოებებზე და რურის მსხვერპლთა სასარგებლო გადასახადების ორჯერ გადიდება. „ფორვერტს“-ის (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო) გამოანგარიშებით ახალი გადასახადების შემოღება მისცემს მთავრობას 20 ტრილიონ მარკას.

პასუხისმგებლობა ყველას აშინებს.

ბერლინი. 7 აგვისტო. რეიხსტაგის ხვალინდელ სხდომაზე ელიან კუნოს საპროგრამო სიტყვას. ფიქრობენ რომ კუნოს გამოსვლა წყნარათ ჩაივლის, რადგან, გარდა კომუნისტებისა, არც ერთ პარტიას არ სურს კუნოს ადგილის დაჭერა.

კუნოს თათბირი პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლებთან.

ბერლინი. კანცლერ კუნოს სამი საათის განმავლობაში თათბირი ჰქონდა პარლამენტის ფრაქციების ლიდერებთან შინაურ და საგარეო მდგომარეობისა, კერძოთ, ფინანსიურ საკითხის შესახებ. გადაწყვეტილია გადამჭრელი ზომების მიღება მარკის კურსის შემდეგი დაცემის თავიდან ასაცილებლათ. ფრაქციების ლიდერებმა სურვილი გამოსთქვეს მტკიცე ბიუჯეტის დაარსებისათვის. განხილული იყო აგრეთვე საკითხი სტაბილიზაციურ სესხის შესახებ.

კუნოს სიტყვა გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ბერლინი. 8 აგვისტო. რეიხსტაგის სხდომაზე კუნო გამოვიდა საპროგრამო სიტყვით გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. **კომუნისტები კუნოს შემდეგი ძახილით მიეგებენ. „გაკოტრებულო! ცოცხალი ლეში! სტინნესის რესპუბლიკის კონტროლიორი!“**

კარგი არაფერია მოსალოდნელი.

ბერლინი. 8 აგვისტო. კუნოს სიტყვა შეიცავდა მხოლოთ იმ ფაქტის ოფიციალურ დადასტურებას, რომ ინგლისისაგან არაფერია მოსალოდნელი ახლო მომავალში. საფრანგეთთან შეთანხმების იმედი სრულიათ არ არის, ვინაიდან იგი გერმანიის სრულ კაპიტულიაციას მოითხოვს.

ბრძოლა რურში გაგრძელდება. კუნო ძველებურათ ჰკიცხავს აქტიურ ბრძოლის მეთოდებს.

კუნო ეძებს დახმარებას ექსპლოატატორთა წრეში.

მარკის კურსის დაცემის გამო კუნოს განცხადებას გადასახადების გადიდების შესახებ თვით ბურჟუაზიული პარტიებიც უნაყოფოთ სთვლიან. სამუშაო ხელფასის მტკიცე კურსით გადახდის საკითხში, კუნო განსაზღვრდა მრეწველებისადმი მიწოდებით.

კუნოს სიტყვა ყველა დამსწრეებმა მოიწონეს—ნაციონალისტებით დაწყებული და სოციალ-დემოკრატებით გათავებული.

მარკის კურსი ეცემა.

ბერლინი. 8 აგვისტო. დოლარის ოფიციალური კურსი ბერლინის ბირჟაზე—4 800.000 მარკაა, არაოფიციალური 6 500.000 მარკა.

ფინანსიური კანონ-პროექტები საქმეს ვერ შველის.

ბერლინი. 8 აგვისტო. ახალ ფინანსიურ კანონ-პროექტების გამო გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი“ (დემოკრატიულად განწყობილ ბურჟუაზიის ორგანო) აცხადებს, რომ პროექტებს არავითარი შედეგები არ მოჰყვება. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, გერმანიის ვალიუტა, როგორც გაცვლა-გამოცვლის საშუალება მოისპობა. მიწის მუშებს და მრეწველებს აღარ სურთ საქონლის გაყიდვა ფასდაკარგულ ქაღალდის აღებაზე. კატასტროფისაგან ხსნას გაზეთი ხედავს გადასახადების ოქროთი შემოღებაში.

აზრთა სხვა და სხვაობა.

ბერლინი. 8 აგვისტო. სოციალ-დემოკრატების საოლქო ორგანიზაციის განცხადება ფრანკ-ფურტში კომუნისტებთან ერთად დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ, დაგვიანებით დაიბეჭდა სოციალ-დემოკრატების ორგანო „ფოლკშტიმ“-ში, სადაც დამატებით ნათქვამია, რომ საოლქო კომიტეტის ზოგიერთი წევრები არ ეთანხმებიან ამ განცხადებასო

პროტესტი მინისტრის განკარგულების წინააღმდეგ.

ბერლინი. 8 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში „ფოლკსბლატ“-ში მოთავსებულია რეიხსტაგის დეპუტატის ოკონსკის წერილი, რომელიც პროტესტს აცხადებს პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის განკარგულების წინააღმდეგ, დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ.

რეინის პროვინციები ცდილობენ ჩამოშორებას.

ბერლინი. 8 აგვისტო. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ცნობებით მოძრაობა გერმანიისაგან რეინის პროვინციების ჩამოშორების სასარგებლოთ იღებს სერიოზულ ხასიათს. სეპარატისტები იწვევენ ყრილობას კობლენცში და აღნიშნავენ, რომ გერმანიის შინაური და განსაკუთრებით ფინანსიური პოლიტიკა კატასტროფიულია.

საკონტრიბუციო საკითხი

აუცილებელი პირობა.

ლონდონი. ინგლისის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი უხდის ამერიკას თავის ვალს და მას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საკითხი უმუშევრობის შესახებ და, რომ ინგლისის ხალხი სხვა ხალხებზე უფრო დატვირთულია გადასახადებით, ის მაინც თანახმა იყო შეემცირებია თავისი მოთხოვნილებები საკონტრიბუციო და მოკავშირეთა ურთიერთ ვალების საკითხში, იმ თანხამდის, რომელიც ინგლისმა უნდა გადაუხადოს ამერიკას; ყველაფერი ეს გამოწვეული იყო სურვილით, გადაწყვეტილი ყოფილიყო საბოლოოთ სადაო საკითხები, რომელნიც ხელს უშლიან ევროპის აღდგენას. მიუხედავათ ამისა, ეს წინადადება უარყოფილ იქნა პუანკარეს მიერ და მან გადასწყვიტა შესდგომოდა რურის ოკუპაციას. ამის შემდეგ ბალდვინმა საჭიროთ დაინახა გაეცხადებია, რომ ინგლისის კაბინეთი ხელებს იხსნის მოკავშირეთა ვალების საკითხში. ავტორიტეტულ წრეებში იმ აზრის არიან, რომ მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაჭრისათვის აუცილებელი პირობაა საკონტრიბუციო თანხის სწორი დაწესება, რომელიც გერმანიამ უნდა გადაიხადოს. რაც ჩქარა იქნება გადაწყვეტილი საკითხი კონტრიბუციის შესახებ, მით უფრო მეტის მიღება

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ლიგა „დრო“-ს დაარსება

ამ ჟამად მოსკოვში როგორც პრესაში, ისე სხვად სხვა კრებებზე და დაწესებულებებში დიდი ყურადღება ექცევა დროის ეკონომიით გამოყენების საკითხს.

პრესა აღნიშნავს, რომ აუარებელი დრო იკარგება დაწესებულება-წარმოებებში, სხდომებზე, კერძო პირად ცხოვრებაში და საერთო საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროებში. დროს უთავბოლოთ ფლანგვა საერთო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. შემჩნეულია, რომ თითქმის არ ყოფილა ჯერ მაგალითი, რომ რომელიმე სხდომა ან მუშაობა წარმოება-დაწესებულებებში იხსნებოდეს და იწყებოდეს დანიშნულ დროზე. ერთი ან მეტი საათების დაკარგვა ეს ჩვეულებრივი მოვლენა არის. ამას იმდენათ შეეჩვიენ, რომ თუ სხდომა დანიშნულია, მაგალითად, 5 საათზე, გაიხსნება არა ადრე 6 საათისა, ვინაიდან ყველამ წინდაწინ იცის, რომ დანიშნულ დროზე არ გაიხსნება და ამიტომ საჭიროდ სთვლიან დაგვიანებით მისვლას. ხანდახან არის შემთხვევები, როცა წინდაწინვე ხდება დათქმა: დავნიშნოთ ამა და ამ საათზე, მაგრამ გავხსნათ ერთი საათით დაგვიანებით და სხვაზე.

დროს უეკონომიოთ გამოყენება გადაიქცა ჩვენი ცხოვრების კანონათ. ძვირად შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც დროს სათანადოთ აფასებდნენ და თუ ასეთები არიან, ისინი მეტს დროს კარგავენ, ვიდრე სხვები, ვინაიდან ისინი ცდილობენ ყველგან, თავის დროზე იყვენ და სწორეთ ამით კარგავენ დროს სხვების ცდაში.

და აი ამ უკულტურობის და წმინდა აზიურ მოვლენის წინააღმდეგ უკვე დაიწყო ბრძოლა.

30 ივლისს მოსკოვში მოხდა პირველი საინიციატივო ჯგუფის სხდომა ლიგა „დრო“-ს დასაარსებლათ. სხდომას დაესწრო 400-მდე. მიღებული იქნა დროებითი წესდება, რომელიც შესდგება **მხოლოდ სამი მუხლისაგან** (აქაც დროს ეკონომია არის დაცული). ლიგა „დრო-“ს მიზნად აქვს დასახული თავის წევრების საშუალებით ებრძოლოს დროს უეკონომიოთ და უთავბოლოთ გამოყენებას ყველგან, როგორც მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ წარმოება-დაწესებულებებში. ამ ბრძოლას ლიგის წევრები ანხორციელებენ აგიტაციის და პირად გავლენის საშუალებით. ლიგის თვითეული წევრი ვალდებულია, როცა ის ამჩნევს დროს დაკარგვას ან ცუდათ გამოყენებას, სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს, მიიღოს ყოველგვარი ზომები ამის წინააღმდეგ, ლიგა „დრო“ს თვითეული წევრი ვალდებულია გაატაროს და განახორციელოს ყველა ის პრინციპები, რომელთაც ისახავს ლიგა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ლიგის წევრობიდან ირიცხება.

ლიგა „დრო“ს საინიციატივო სხდომის უმცირესი ნაწილი, იცავდა იმ აზრს, რომ საჭიროა ლიგის მუშაობის ჩატარება ჯერ-ჯერობით ლიგის წევრების კერძო პირად ცხოვრებაში, მაგრამ ეს უარყოფილი იქნა, ვინაიდან თვითეული კერძო პირის პირადი ცხოვრება, რამდენათ ის საზოგადოების განუყრელ ნაწილს შეადგენს, დამოკიდებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. უარყოფილი იქნა აგრეთვე წინადადება ლიგა „დრო“ს სახელმწიფო ორგანოს გადაქცევისა და მუშა-გლეხთა ინსპექციისათვის დამორჩილების შესახებ.

ლიგის „დრო“ს დროებით ბიუროში, სხვათა შორის, ამორჩეული არიან: პრეობრაჟენსკი, პერეენცევი, მასტეევი და მეიერხოლდი.

აღსანიშნავია, რომ საინიციატივო ჯგუფის სხდომა დანიშნული იყო 7 საათზე და გაიხსნა სრულ შვიდზე. თვით სხდომაზე კამათის დროს ორატორები ლაპარაკობდენ მოკლეთ და მხოლოდ მას, რაც პირდაპირ საქმეებს შეეხებოდა. მათ, ვინც თავის ლაპარაკში ცარიელ სიტყვებს ხმარობდენ, სიტყვა ერთმეოდათ. ამავე სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა, რომ ტაშის დაკვრა, როგორც დროს დამკარგველი, აკრძალული იქნას.

მოსკოვი. ს. გ.

(ლიგა „დრო“ს წევრი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის საბჭოს სხდომა
გადაიდო

ორშაბათს, 13 აგვისტოსათვის და გაიმართება რუსთველის თეატრის დარბაზში.

დღის წესრიგი:

1) კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილე.
2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.
3) ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საბჭოს პრეზიდიუმი.

საჰაერო ფლოტის კვირეული
ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ

შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან ჰაეროდრომზე მოხდება

სანიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან, უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46.

ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, კახეთის და ვაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ აეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

შეიძლება გერმანიისაგან, რადგან მისი გადახდის უნარიანობა რურის ოკუპაციის განმავლობაში დღითი დღე ეცემა.

სხვა და სხვა თვალსაზრისი.

ლონდონი. 8 აგვისტო. გამოქვეყნებულია სრული ტექსტი პუანკარეს პასუხისა ბალდვინის მიმართ და აგრეთვე ინსტრუქციები საფრანგეთის ელჩს ლონდონში. პუანკარე უარს აცხადებს ინგლისის შუამავლობაზე საფრანგეთსა და გერმანიას შუა. იმავე დროს გამოქვეყნებული ბელგიის ნოტები ააშკარავებენ საფრანგეთისა და ბელგიის შეხედულებათა სერიოზულ სხვადასხვაობას.

ბელგია არ უარყოფს სარეპარაციო საკითხის განხილვას პასიურ წინააღმდეგობის გაუქმებამდე, მაგრამ იმ პირობით, თუ წინააღმდეგობას არ უხელმძღვანელებს ბერლინი. გარანტიებისა და საფინანსო კონტროლის საკითხში ბელგია დგება ინგლისის თვალსაზრისზე.

ფრანკის კურსის დაცემა, რომელსაც ინგლისის სავაჭრო წრეების ზეგავლენით ხსნიან, იწვევს ერთგვარ შიშს პარიზში.

იაპონია ხელს იბანს.

ლონდონი. 7 აგვისტო. იაპონიის ელჩმა ლონდონში განაცხადა, რომ სარეპარაციო საკითხი ძალიან ნაკლებათ ეხება იაპონიას.

ვატიკანის შუამდგომლობა.

რომი. 10 აგვისტო. რომში მყოფმა გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ვირტმა ინახულა პაპის მდივანი, კარდინალი გარონი. ამის გამო ლონდონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: გერმანია დიდს იმედებს ამყარებს ვატიკანზე, რომელსაც გავლენა აქვს საოკუპაციო ოლქებში საფრანგეთის მოქმედებაზე.

საფრანგეთი—შეუბრალებელი კრედიტორია.

ნიუ-იორკი. 8 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს საფრანგეთის ელჩმა ამერიკაში ჟიუსსერანმა განაცხადა, რომ არავის, ამერიკის მეგობრულ ჩარევასაც კი, არ შეუძლია შესცვალოს საფრანგეთის ეხლანდელი პოლიტიკა გერმანიის მიმართ. ჟიუსსერანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი უარს არ იტყვის თავის მოთხოვნილებებზე და მოიგონა ის, რომ 1871 წ. ომის შემდეგ საფრანგეთი განუწყვეტლივ მუშაობდა, რომ გადეხადა კონტრიბუცია გერმანიისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი მისი ბიუჯეტი მაშინ შეადგენდა 3 მილიარდ ფრანკს.

რურის ოკუპაციის შედეგი.

ლონდონი, 8 აგვისტო. ინგლისის კაბინეტის სხდომის გადადების გამო ხვალამდის, „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გადადება გამოწვეულია უთანხმოებით კაბინეტის წევრთა შორის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება დათმობების შესახებ ბალდვინის მხრივ, ამ შეურიგებელ კონსერვატორის მხრივ, რომელიც პასიურ წინააღმდეგობის უეჭველ შეწყვეტას მოითხოვს. გაზეთის ცნობებით, სესილის შეხვედრამ მილიერანთან არავითარი შედეგები არ გამოიღო. გაზეთი ფიქრობს, რომ ინგლისი ჩამოშორდება საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტას თავის მოთხოვნილებებზე უარის უთქმელათ, და აღნიშნავს, რომ ყოველ შემთხვევაში ევროპის მთავარი ბაზრები დანგრეულია და დიდხანს მათ არავითარი ფასი არ ექნებათ.

ორი დაბრკოლება.

ლონდონი. „ტაიმსი“-ს აზრით, დიდი-ბრიტანეთის ღონისძიებას საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად წინ ეღობება ორი სერიოზული დაბრკოლება. პირველი—საფრანგეთის პოლიტიკა რურში, მეორე—გერმანიის მთავრობის საოცარი უმოქმედობა. ინგლისის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, მაგრამ არც ერთი და არც მეორე მხარე არ გამოქომაგებია მის ღონისძიებას საკონტრიბუციო საკითხის სასწრაფოდ გადასაჭრელად.

ინგლისი არ უნდა გამოდიოდეს სეპარატიულად.

ლონდონი. ეხება რა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას საკონტრიბუციო და რურის საკითხების გამო, „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ინგლისს არ შეუძლია კანონიერად ჩასთვალოს რურის ოკუპაცია როგორც ეს სურს პუანკარეს. ამავე დროს გაზეთი ფიქრობს, რომ არ იქნებოდა სასურველი ამ საკითხის განხილვის გადაცემა ერთა ლიგისათვის.

გაზეთის აზრით, ინგლისმა არ უნდა გადასდგას სეპარატიული ნაბიჯები, რისთვისაც ის კიდეც მოუწოდებს უკანასკნელად რურის ოკუპაციის საკითხის შეთანხმებულად განხილვისაკენ.

ინგლისის კაბინეტის გადაწყვეტილება.

ლონდონი. გუშინდელ სხდომაზე ინგლისის კაბინეტმა მიაღწია შეთანხმებას საპასუხო ნოტის შინაარსის შესახებ, რომელიც უნდა გაეგზავნოს საფრანგეთს და ბელგიას.

ლონდონის „ბირჟევიკების“ პესიმიზმი.

ლონდონი. ლონდონის ბირჟაზე განწყობილება პესიმისტურია. ეს განწყობილება გავლენას ახდენს საფრანგეთის და ბელგიის ფრანკებზე, რომელთა კურსი თანდათან ეცემა.

ინგლისის პრესა კუნოს სიტყვის შესახებ.

ლონდონი. ინგლისის პრესა თითქმის არც კი იხილავს კუნოს სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა რეიხსტაგში და მხოლოდ „ტაიმს“-მა უძღვნა მას სპეციალური წერილი.

ოკუპაციის გარემო

მაღაროების დაკავება.

ბერლინი. 10 აგვისტო. საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობას განზრახვა აქვს დაიკავოს ზისმარკის მაღაროები

მუშა ხელის მოსაზიდათ.

ბერლინი. 10 აგვისტო. გენერალმა დეგუტმა ბრძანება გასცა რურსა და დანარჩენ გერმანიის შუა მიმოსვლა 8 დღით კიდევ გაგრძელდეს, რათა დიუსელდორფში მიიზიდონ მუშა-ხელი ადგილობრივ მაღაროებში სამუშაოდ.

საალყო წესები დიუსელდორფში.

რომი. 10 აგვისტო. დიუსელდორფში საალყო წესები გამოცხადდა. ქალაქში მიმოსვლა დაბინდების შემდეგ აკრძალულია.

ხელფასის ფონდის წაღება.

რომი. 10 აგვისტო. „ვოლფ“-ის სააგენტო იტყობინება, რომ მანჰეიმში ფრანგებმა ხელთ იგდეს 3 მილიარდი მარკა, რომელიც გადადებული იყო მუშებისათვის ხელფასის დასარიგებლად.

რეპრესიული ზომებით არაფერი გაკეთდა

ბერლინი. 8 აგვის. გენერალმა დეგუტმა, რეპრესიული ზომების სახით იმ თავდასხმისათვის, რომელიც დიუსელდორფში მოხდა, ერთი კვირით აკრძალა ყოველგვარი მიმოსვლა ოკუპაციაქმნილ და ოკუპაცია არაქმნილ ოლქებს შორის.

ერთა ლიგაში

ურთიერთ გარანტიათა ხელშეკრულების პროექტი.

პარიზი. 7 აგვისტო. ურთიერთი გარანტიათა ხელშეკრულების პროექტს იმუშავებს ერთა ლიგის კომისია. პროექტი განიარაღების შესახებ მოითხოვს შეთანხმებულ სახელმწიფოთაგან საურთიერთო ვალდებულებას, რათა თავი შეიკავონ ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისაგან და ერთმანეთს დაეხმარონ, უკეთუ განიარაღების შემდეგ რომელიმე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოს გარეშე ვინმე დაესხმის თავს. ერთა ლიგა შეიმუშავებს იმ დახმარების ფორმას, რომელიც უნდა აღმოუჩინონ თავდასხმულ სახელმწიფოს. ერთა ლიგა აგრეთვე ვალდებულს გახდის თავდამსხმელ მხარეს, რათა მან აანაზღაუროს თავდასხმათ მიყენებული ზარალი. ყველაზე უფრო ნამდვილ საშუალებათ, რომელიც უზრუნველჰყოფს ურთ-ერთის საფრთხეს, ერთა ლიგას მიაჩნია ყველა ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა პრინციპიალური ვალდებულება, რომ უარი სთქვან ყოველგვარ სამხედრო, საზღვაო, ხმელეთისა და საჰაერო ოპერაციებზე თავისი სახელმწიფოს ფარგლის გარეშე. ერთა ლიგაში შეუსვლელ სახელმწიფოებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ხელშეკრულებაში, ხელშეკრულებაზე თავისი ხელის მოწერით. **ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ არღვევს იმ უფლებებსა და ვალდებულებათ, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის უკვე არსებულ ხელშეკრულებებიდან.**

ერთა ლიგა.

პარიზი. 7 აგვისტო. გაზეთების სიტყვით, სესილს თათბირი ჰქონდა პუანკარესთან ურთიერთ გარანტიების პროექტის შესახებ და აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის მორიგ ურთიერთობის შესახებაც. სესილი ინგლისის მთავრობას გაუზიარებს პუანკარესთან საუბრის შინაარსს.

სხვადასხვა ამბები

ფინეთი.

ტერორში ცარიზმს ეჯიბრებიან.

სტოკჰოლმი. 7 აგვისტო. შვეციის ლიბერალური გაზეთები გადაჭრით გმობენ ფინეთის კომპარტიის დევნას და აღნიშნავენ, რომ ფინეთის მთავრობამ კომპარტიის დევნაში ცარიზმის ტერორს გადააჭარბა, რაც უდიდეს საფრთხეს უმზადებს ფინეთსაო. „სოციალ დემოკრატენ“-ის აზრით, ფინეთის დღევანდელი მდგომარეობა ფარული სამოქალაქო ომს ემზგავსება.

პროტესტი მთავრობის თვითნებობის წინააღმდეგ.

ჰელსინგფორსი. 8 აგვისტო. კომუნისტების დატუსაღების გამო სოციალ-დემოკრატები სამშაბათს იწვევენ საპროტესტო კრებას მუშათა სახლში. სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სეიმის თავმჯდომარეს წინადადება გაუგზავნა სეიმის სასწრაფო მოწვევის შესახებ სახალხო წარმომადგენელთა შეუვალობის დარღვევის განსახილველათ. სეიმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს მოთხოვნილება უსაფუძვლოა და უარი განაცხადა სეიმის მოწვევაზე. ფინური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ მთავრობის მოქმედებებს თვითნებობათ აღიარებს და მოითხოვს: კომუნისტურ მოძრაობის დახშობის პოლიტიკის შეწყვეტას, დატუსაღებულთა განთავისუფლებას და პარტიის ლეგალიზაციას.

ჩინეთი.

დიდ სახელმწიფოთა ჩარევა ჩინეთის საქმეებში.

რომი. 7 აგვისტო, „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, პეკინში მყოფი დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელი ჩინეთის მთავრობას დაემუქრა: თუ კვლავ გაგრძელდება მატარებელზე და რკინის გზებზე თავდასხმა, დაუყოვნებლივ შემოვიყვან საერთაშორისო პოლიციასო.

საფრანგეთი.

ფრანკიც ეცემა.

რომი. 7 აგვისტო. პარიზის გაზეთები ეხებიან ფრანკის თანდათანობით დაცემას და აღნიშნავენ, რომ ნიუ-იორკის ბაზრის მდგომარეობა არ ამართლებს ფრანკის დაცემას და ფრანკის კურსი ინგლისის ხელოვნური ზეგავლენით ეცემაო.

იტალია.

იცავენ დარბევის ტაქტიკას.

რომი. 7 აგვისტო. ფაშისტების დიდი საბჭო თავის რეზოლიუციაში აღნიშნავს, რომ სანამ სახელმწიფო სავსებით ფაშისტური არ გახდება, ფაშისტებს არ შეუძლიათ უარი სთქვან ფაშისტურ მილიციის „შავ ხალათიანებზე“. ფაშისტურ მილიციაში ნახევარი მილიონი ჯარისკაცია.

შეტაკება ფაშისტებთან.

პარიზი. რომიდან იუწყებიან, რომ ფაშისტები თავს დაესხნენ კომუნისტებს. შეტაკების დროს მოკლულია ერთი და დაჭრილია ერთი.

ფაშისტები ეხმარებიან მემამულეებს.

რომი. (დამახინჯებულია) ოლქში ფაშისტების რაზმები აიძულებენ ღარიბ გლეხებს—მოიჯარადრეებს ხელი მოაწერონ მათთვის არა ხელსაყრელ ხელშეკრულებას მემამულეებთან, სცემენ მთელს ოჯახებს და არ ზოგავენ ქალებსა და ბავშვებს და ესვრიან უიარაღო ხალხს. „ჯუსტიციას“ ცნობით, ნაცემი და დაჭრილია 60 კაცი—ბევრი ქალები და ბავშვები, რომელთაგან მრავალი ავად გახდა შიშის გამო. გროსსეტოში ფაშისტებმა სასიკვდილოთ სცემეს გაზეთ „ავანგარდია“-ს რედაქტორს, ჩევიტაში ფაშისტებმა მუქარით აიძულეს ორი მუშათა კოოპერატივი გადასულიყვნენ ფაშისტების მხარეზე. სან-ბარტელომში ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს რესპუბლიკანურ კლუბს. პარმაში მათ მოჰკლეს მუშა—სოციალისტი.

„პაეზინა როსსა“ რედაქტორების მოწოდება.

რომი. 8 აგვისტო. „პაეზინა როსსა“-ს რედაქტორებმა მიმართეს თავის თანამოაზრეებს წერილით, რომელშიაც სთხოვენ მათ თავი შეიკავონ საპროტესტო დემონსტრაციისაგან, აგიტაცია გამართონ მთლიან მუშათა ფრონტის სასარგებლოთ და პარტიულ კონგრესის მოწვევა მოითხოვონ.

ბულგარეთი.

შავი რაზმი მუშაობს.

ვენა. 8 აგვისტო. ბულგარეთში გრძელდება კომუნისტების და აგრარიების დევნა. კარლოვიცაში დახურეს კომუნისტური სათემო სამმართველო, დაიწყო აგრარიების პარტიის 35 წევრის გასამართლება; უკანასკნელებს ბრალს სდებენ ცანკოვის მთავრობისადმი წინააღმდეგობაში, მთავრობის პრესა მოითხოვს კომუნისტების ლიდერის დიმიტროვის დაპატიმრებას, რადგან მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ორი წლის წინათ, რუსეთის რევოლიუციის დღეს, შეიცავდა მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

საბერძნეთი

არეულობა საბერძნეთში.

რომი. 10 აგვისტო. ათენიდან მიღებულ ცნობებით, საბერძნეთში ამბოხებამ იფეთქა. სალონიკში ერთი ათასი მუშა შემოერტყა ბირჟას და დაანგრია. ადგილობრივი გარნიზონი მუშებს მიემხრო. ამბოხების ჩასაქრობათ ჯარები გაიგზავნა. არეულობა დაიწყო სხვა ქალაქებშიც. ფიქრობენ, რომ არეულება, უმთავრესად ეკონომიური მდგომარეობითა და მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვებით არის გამოწვეული.

ინგლისის სესხის საბერძნეთს

რომი. 10 აგვისტო. ინგლისის ბანკმა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი მისცა საბერძნეთის მთავრობას, იმ სესხის ანგარიშში, რომელსაც საბერძნეთის მთავრობა ახლო მომავალში გამოუშვებს.

უნგრეთი

მემარჯვენეებს „ებრძვიან“.

ვენა. 8 აგვისტო. იმის გამო, რომ მომავალში უნდა დაიწყოს უნგრეთსა მოლაპარაკება მცირე ანტანტასთან უნგრეთისათვის სესხის მიცემის შესახებ, ბეტლენის მთავრობამ დაიწყო კამპანია უკიდურეს მემარჯვენეების წინააღმდეგ. აკრძალულია ერთი კვირით მემარჯვენეების ორგანოს „ონაპ“-ის ქუჩებში გაყიდვა. მთავრობის გაზეთები ააშკარავებენ უნგრეთის ფაშისტების წარმომადგენლის გემბეშის ცდებს სამხრეთ-სლავიასთან კავშირში შესასვლელად.

პოლონეთი.

დაპირებებით უმასპინძლდებიან.

ვარშავა. 8 აგვისტო. დოლარის კურსის შეუჩერებელი ზრდა იწვევს საოცარ სიძვირეს. ოპოზიციონური პრესა სიძვირეში ბრალს სდებს მთავრობას. მთავრობის პრესა ირწმუნება, რომ მიღებული ზომების საშუალებით სიძვირე შემცირდება... მემაღაროეებთან კონფლიქტის ლიკვიდაციის შემდეგ მრეწველებმა ნახშირის ფასი გაადიდეს 100 პროცენტით.

განგაშს სტეხენ.

ვარშავა. 8 აგვისტო. ლეგიონერების ყრილობაზე ლვოვში სვენიცკი მოუწოდებდა ლეგიონერებს მზად იყვნენ, ვინაიდან ყოველდღე მოსალოდნელია მღელვარება. სეიმის ვიცე-მარშალმა ძურაჩევსკიმ განაცხადა, რომ ლეგიონერები მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობისათვის, თუ მემარჯვენეები შეეცდებიან გადატრიალების მოხდენას.

ლატვია.

სახელმწიფოთა „თავდაცვის“ კავშირი.

რიგა. 8 აგვისტო. ლატვიის მენშევიკების გაზეთი სწერს: „აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ სახელმწიფოთა თავდაცვის კავშირის შექმნა, რომელთა შორის დიდ უთანხმოებას არ აქვს ადგილი. ასეთი თავდაცვის კავშირი უნდა შესდგეს ლატვიიდან, ესტონეთიდან და ფინეთიდან.

მუშებისათვის ბორკილებს სჭედენ.

რიგა. 8 აგვისტო. შრომის სამინისტრო ადგენს ახალ საჯარიმო ტაბელებს ფაბრიკის მუშებისათვის და აგრეთვე ახალ კანონ-პროექტს გაფიცვების შესახებ.

რუმინეთი.

მთავრობა მხარს უჭერს ფაშისტებს.

ვენა. 8 აგვისტო. ოპოზიციონური გაზეთის ცნობით, ფაშისტებს დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვაიტოიანი, სახალხო განათლების მინისტრი ანჟელესკუ და გზათა მინისტრი მოტი.

მენშევიკური ორგანიზაციის ლიკვიდაცია ფოთში და ბათომში
(კრებები და კონფერენციები)

ფოთი

ფოთის მენშევიკური პარტიის ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თავის დროზე მენშევიკების პარტიაში. ის შესდგებოდა ძველი მუშებისაგან. მიუხედავათ ამისა, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, სწორეთ იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია შესდგებოდა დიდი ხნის სტაჟის მუშებისაგან, მენშევიკური პარტიის გახრწნამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა ფოთის ორგანიზაციაშიც. თუმცა უნდა ითქვას, მისი წევრები დიდხანს იყვნენ რყევაში და საჭირო იყო, ასე ვთქვათ, მორალური „ზაბიძგება“, რომ მომხდარიყო ის, რისი მოწამეც შევიქენით. ასეთი იმპულსის როლი ითამაშა **ძველი მენშევიკის, მუშის, სიმონ გოგიბერიძის პარტიიდან გამოსვლამ** და ორ ივნისს მუშების მიტინგზე განცხადებამ: **„ჩვენ ვცდებოდით, ჩვენი გზა არ იყო სწორი, ის მიმართული იყო რეაქციის სასარგებლოდ, რევოლიუციის წინააღმდეგ. მენშევიკური პარტია იყო მერყევი და პროლეტარიატის მოღალატე ამ ხუთ წლებში. მე ვერ ვიბრძოლებ სამფეროვანი დროშით წითელი დროშის წინააღმდეგ, მე მუშა ვარ, ჩემი სიცოცხლე ციხე-კატორღაში გამიტარებია, მას ვერ შეუწინებვარ. დღეს კი სრულიად შეგნებით, ჩემი სრული ნებით ვტოვებ მენშევიკურ პარტიას და მოგიწოდებთ წაბაძოთ ჩემს მაგალითს. მე მირჩევნია ლენინთან ტანჯვაში სიკვდილი, ვინემ კერენსკისთან განცხრომით ცხოვრება,**—ასე დაამთავრა მან თავისი სიტყვა.

მას მიბაძეს ბევრმა და მიტინგზევე უარყოფეს მენშევიკური პარტია. შემდეგ ისინი აწარმოებენ თავის ამხანაგებში მუშაობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ ვაჟბატონების საყურადღებოთ, რომლებიც გაიძახიან, რომ ყოველივე ეს ხდება ძალდატანებით, რომ არც პარტკომს, არც ამსაკომს, არც პოლიტბიუროს და არც კერძოთ ამხანაგებს არ მიუღიათ მონაწილეობა ამ საქმეში. რასაკვირველია, თუ კი ისინი მოგვმართავდენ ჩვენ—ჩვენ ხელს უწყობდით,—ძალდატანებაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია და ასეთს ამის მაგალითს ისინი ერთსაც ვერ დაასახელებენ, თუმც ჭორების შეთხზვაზე მარჯვე არიან.

12 ივლისს სამი ყოფილი მენშევიკის ინიციატივით მოწვეული იქნენ ყველა ხელმძღვანელები ფოთის მენშევიკური ორგანიზაციისა—ოცდა ათ კაცამდი. თათბირმა გასტანა სამი საათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ არჩეული იქნა საინიციატივო ბიურო, რომელიც უნდა შედგომოდა კონფერენციის მოწვევის მზადებას.

ამხ მარტინოვი ფოთში.

იმ ღამესვე ჩამოვიდნენ ამხ. მარტინოვი, შამში ლეჟავა და თეიმურაზ ჭუმბურიძე (ყოფილი მენშევიკი ქუთაისიდან) და რადგანაც კონფერენციის მოწვევა არ ხერხდებოდა დროის უქონლობის გამო, მოწვეულ იქნა საერთო კრება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხდა სულ რამოდენიმე საათში და ყველა წევრებს ვერ შეატყობინეს. მიუხედავათ ამისა მოიყარა თავი 191 ყოფილ მენშევიკური პარტიის წევრმა კრება იყო დანიშნული საღამოს 6 საათზე ადგილობრივ თეატრში, მაგრამ თეატრს მოაწყდა ორი ათას კაცამდი და იძულებული შევიქენით კრება ბაღში გადაგვეტანა. შვიდ საათზე ის გახსნა საინიციატივო ბიუროს სახელით **სიმონ გოგიბერიძემ,** რომელმაც მოკლეთ დაახასიათა ამხ. მარტინოვის წარსული და სთქვა: ეს ამხ. მარტინოვმა გაგვითიშა მუშათა კლასი ორ ბანაკათ, ჩვენ არ დაგვაყენა სწორ გზაზე და დღეს ის იძულებულია ისევ შეგვაერთოსო თუმც გვიანია, მაგრამ უკეთესია შეცდომის გვიან გამოსწორება - ვიდრე არასოდეს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. მარტინოვი, რომელმაც ილაპარაკა სამი საათი და დაახასიათა მენშევიკური და ბოლშევიკური პარტიები, შეეხო თანამედროვე მომენტს. მსმენელებმა ის მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ილაპარაკა **თეიმურაზ ჭუმბურიძემ.** მან დაახასიათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოქმედება საქართველოში მისი ბატონობის დროს. ამ პარტიის მთელი მუშაობა მიმართული იყო ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენ მუშებმა დროა გავახილოთ თვალები, რომ სწორი გზა გამოვნახოთ. მან მოუწოდა მენშევიკურ პარტიის ყველა წევრებს მიატოვონ ეს პარტია, ჩაებან ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ კომუნისტებთან ერთად კომინტერნის ხელმძღვანელობით.

შემდეგ კრებას მიესალმა ამხ. შამში ლეჟავა.

ილაპარაკეს ადგილობრივმა ყოფილმა მენშევიკებმა **ამხ. ბაზიარმა მახარაძემ, მამალაძემ, გოგიბერიძემ** და სხვებმა. მათ სიტყვებში გამოიხატებოდა ზიზღი მათ ყოფ ხელმძღვანელებისადმი, რომლებმაც ისინი ჩამოაშორეს რევოლიუციას და დააყენეს კონტრ-რევოლიუციის გზაზე და შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი

რეზოლიუცია.

„ქალაქ ფოთის მენშევიკურ პარტიის წევრების კრება, მოისმინა რა მან მოხსენება ამხ. მარტინოვის, სავსებით ეთანხმება მის შეხედულებას მენშევიკური პარტიის და მისი საერთაშორისო ორგანიზაციის—მეორე ინტერნაციონალის იდეოლოგიის და ტაქტიკის გაკოტრების შესახებ. მენშევიკურმა პარტიებმა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს სავსებით გამომჟღავნეს თავისი ღალატი მარქსისა და ენგელსის დიდი პროლეტარული მოძღვრების მიმართ. მსოფლიო ომის დროს, როდესაც მთელი კაცობრიობისათვის და განსაკუთრებით მუშათა კლასისათვის საბედისწერო მომენტი იყო, მენშევიკური პარტიის და მეორე ინტერნაციონალის ცნობილი ბელადები კლასთა ბრძოლის მაგიერ ქადაგებდენ კლასთა სოლიდარობას, ბურჟუაზიასთან შეთანხმებას, მასთან თანამშრომლობას და თავიანთ ეროვნულ ბურჟუაზიასთან ხელი ხელ ჩაკიდებული აკეთებდენ იმპერიალისტურ საქმეს. მენშევიკებმა და მეორე ინტერნაციონალმა, რომელიც მსოფლიო ომის დროს დაშლილი ისევ „ადგა“, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ოქტომბრის რევოლიუციას და პროლეტარიატის დიქტატურას, და დაუპირდაპირა მას პრინციპი: „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“. ისტორიულმა მსვლელობამ ოქტომბრის რევოლიუციის მესვეურებს გამარჯვება მიანიჭა და მათ მიერ 25 ოქტომბერს გადადგმული ნაბიჯი—რუსეთის პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღება—უდიდესი მნიშვნელობის აქტი გამოდგა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ცეცხლის დასანთებათ.

ამ დიდი ისტორიული მოვლენის დროს, როდესაც სწყდება რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ბედი, მენშევიკური პარტიები და მათი ორგანიზაცია—მეორე ინტერნაციონალი ადგიან რევოლიუციის საწინააღმდეგო ტაქტიკას და პოლიტიკას. კერძოთ საქართველოს მენშევიზმი, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, აწარმოებდა პროლეტარული რევოლიუციის საწინააღმდეგო ბრძოლას ანტანტის იმპერიალისტებთან ერთად.

ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, ვგმობთ ასეთ რეაქციონერ გზას, რომელსაც აწარმოებდა და აწარმოებს დღეს არალეგალური მენშევიკური პარტია და უბრუნდებით რა რევოლიუციონერ მებრძოლ რიგებს, ფიცსა ვდებთ ვიბრძოლოთ კომუნისტებთან ერთად მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის კაპიტალიზმის მძიმე უღლისაგან“.

კრებამ დაამტკიცა წინათ არჩეული საინიციატივო ბიურო სამი კაცის დამატებით და მიანდო მას კონფერენციის მოწვევა. კრება დაიხურა ღამის 1-ლ საათზე ინტერნაციონალის სიმღერით.

საინიციატივო ბიურო შეუდგა თავის მუშაობას. 23—26 ივლისში მოხდა გაფართოებული კრება საინიციატივო ბიუროსი მენშევიკური პარტიის ყოფილ პასუხისმგებელ წევრებთან ერთად, სადაც გამოიმუშავეს წინასწარი გეგმა კონფერენციის მუშაობისა და დღის წესრიგი.

გამოშვებული იქნა მათ მიერ შემდეგი

მოწოდება

ამხანაგებო!

„ჩვენი ლოზუნგი, ლოზუნგი მარქსიზმისა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, დროთა მსვლელობამ დროებით შესცვალა და შეერთების ნაცვლად პროლეტარიატი დაანაწილა-დაქაქსა. ხანგრძლივმა ომიანობამ გაანადგურა ქვეყანა ეკონომიურად და ფიზიკურად, დაშალა, დააქუცმაცა მთლიანი ოჯახი მუშათა კლასისა. პატარა ერებს შორის მტრობა და შური ძიება გამეფა. ომიანობის მესვეურნი, მტერნი მომავლისა, რევოლიუციისა და მშრომელი მასისა ხარობენ ჩვენს ურთიერთ შორის მტრობას, მათი მიზანია რუსეთში ჩაკლან რევოლიუცია. მათი ვერაგული პოლიტიკა მიმართულია როგორც რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ისე საქართველოს და მთელი მსოფლიო მუშათა კლასის და გლეხკაცობის წინააღმდეგ. აიღეთ ინგლისში ტრედ-უნიონების მიმართ მათი პოლიტიკა, ბისმარკის სასოფლო და სამრეწველო პოლიტიკა, ამერიკის ტრესტები და სხვ. ყოველივე ეს მიმართულია მშრომელი მასების განადგურებასა და დეზორგანიზაციისაკენ.

ჩვენ, ორივე მიმართულებამ, მენშევიკ-ბოლშევიკებმა ხანგრძლივი ეკლიანი გზა წამებით ერთად განვლეთ. ძლიერი მთლიანი ოჯახი მუშათა კლასისა ცხოვრების უკუღმართობამ გათიშა და ურთიერთ შორის მტრობა და შური ჩამოაგდო. რევოლიუციის სინამდვილეში ეს ორი ძლიერი ძალა ერთა მეორის მოწინააღმდეგენი დარჩა, რომლებიც არ ჩერდებიან ერთი მეორის ხოცვა ჟლეტის წინაშე. ამ ორი ძმის მტრობა-შურის ძიებას გულდამშვიდებით შესცქერის მტრები რევოლიუციისა ევროპის ბურჟუაზიის, რუსეთის რეაქციის, საქართველოს თავად-აზნაურების და ნაციონალ დემოკრატების სახით. რეაქცია ორთავეან არწივის სახით ფრთას ისხამს, ბასრ კლანჭებს ამზადებს. მას სურს მოძმეთა მიერ გაყლეტის შემდეგ წითელ რუსეთზე გადმოფრინდეს—და თუ ვინმე დარჩება რევოლიუციის შვილნი თავის ბასრ კლანჭებში ჩაიგდოს და სისხლში ჩაახრჩოს. აშკარაა გამარჯვებული რეაქცია ულმობელი და სასტიკი იქნება როგორც კომუნისტების, ისე მენშევიკებისათვის. დროა ბურუსი გაიფანტოს მამებო და შვილებო რევოლიუციისა. გვიძახის მომავალი, ისმინეთ. დროა დარბეული ოჯახის აღდგენისა, დროა მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნისა. რევოლიუციის ყველა მოძმეებმა ჩაჰკიდეთ დაკოჟრებული ხელი ჩვენ წითელ დროშას, ძლიერი მთლიანობით მოუღეთ ბოლო რეაქციას.

ფოთში ამ დღეებში გაიხსნება ყოფილი მენშევიკური პარტიის კონფერენცია. დღე ცალკე იქნება გამოცხადებული, მოგიწოდებთ ყველას მიიღოთ ცხოველი მონაწილეობა ამ კონფერენციაში.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ მთლიანობას.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიან ფრონტს.

გაუმარჯოს სოციალისტს.

ფოთის საინიციატივო ბიურო მოგიწოდებთ თქვენ შემოიკრიბოთ მის გარშემო.

ფოთის საინიციატივო ბიურო.

2 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე ქალაქის თეატრში გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 110 დელეგატი ე. ი. წარმომადგენელი 550 წევრისა. საინტერესოა აღნიშნოთ დელეგატების ვინაობა. სოციალურ მდგომარეობით ისინი ყველა ას პროცენტი მუშებია. სტაჟი—76 კაცი 1905 წ. 1905—1908—21 კაცი. 13 კაცი 1908—1919 წლამდე.

კრება გახსნა საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. სიმონ გოგიბერიძემ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა კონფერენციის მნიშვნელობა და რევოლიუციის მომზადებაში მენშევიკების მონაწილეობის მიღება 1917 წ. მაგრამ, განაგრძობს ორატორი, ჩვენი გზა არ გამოდგა სწორი და დავმარცხდით. ის მოუწოდებს კონფერენციას სერიოზულ მუშაობისაკენ.

შემდეგ იქნა არჩეული პრეზიდიუმი, დამტკიცებული დღის წესრიგი. პრეზიდიუმში შევიდნენ: გოგიბერიძე, ბაზიარი, რუხაძე არჩილ, მახარაძე ვალო, მახარაძე ილარიონი, ურნგაძე თეოფილე და სხვ. სულ 9 კაცი.

საპატიო თავმჯდომარეებათ იქნენ არჩეული ამხ. ამხ. ლენინი, ტროცკი, სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, გოგია, მგელიშვილი ვ.

არჩევნების შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. არჩილ რუხაძე, შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის და დემოკრატიის ძალა უფლება“ და „ეროვნული საკითხი“. ამხ. რუხაძის მოხსენების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი დეკლარაცია და თეზისები ეროვნულ საკითხზე ერთხმად.

დეკლარაცია.

ფოთის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია მთელი ორგანიზაციის სახელით აცხადებს შემდეგს:

1. ტფილისის შემდეგ ფოთის ორგანიზაციას, როგორც მუშურ ცენტრს, პირველი ადგილი ეჭირა საქართველოში.

2. 1905 წლის რევოლიუციის დროს მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად ვმუშაობდით, მაგრამ ჩვენ ჩვენი მენშევიკური ტაქტიკა ბოლშევიკურ ტაქტიკაზე უფრო სწორედ მიგვაჩნდა, რადგან ამაში გვარწმუნებდა ჩვენ ჩვენი ყოფილი ბელადი ნოე ჟორდანია მაშინდელ გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“.

3. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ყოფილ მენშევიკებს მაინც გვეგონა, რომ გაერთიანება ორივე ფრაქციებსა ადრე თუ გვიან მოხდებოდა. ამასაც ვიფიქრებდით, რომ ამ გაერთიანების როლი პირველად ბოლშევიკებს აღეძრებოდა.

4. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, და შემდეგშიაც განსაკუთრებით 1911 წლიდან, ეს ორი ფრაქცია ერთმანეთს ისე დაშორდა, რომ ყოველივე იმედი ამ გაერთიანებისა სავსებით გაქრა, ხოლო 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ კი ამ ორი ფრაქციას შორის თავი იჩინა აშკარა ხელჩართულმა ბრძოლამ.

5 მთავარი მიზეზი ამ ორ ფრაქციის შეურიგებლობისა იყო ის, რომ, როცა ჩვენ მენშევიკები სოციალიზმისაკენ ერთად ერთ სწორ გზას ვხედავდით

შეერთებული შტატები

კოლონიებში მღელვარებაა.

ნიუ-იორკი. 8 აგვისტო. პრესის ცნობით კუნძულ მინდაოზე სისხლის მღვრელ შეტაკებაში მოკლულია 50 ადგილობრივი მცხოვრები. შეტაკება მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ გუბერნატორისათვის ულტიმატუმის წარდგენის გამო, რომელიც მოითხოვდა სამი დღის განმავლობაში 40 პოლიციელის ჩაბარებას.

თავისუფალ რესპუბლიკაში მიმართავენ წამებას.

ნიუ-იორკი. 8 აგვისტო. საკანონმდებლო კრების ერთ-ერთმა წევრმა გეორგიის შტატიდან გამოამჟღავნა სახელმწიფოებრივ ციხეებში მხეცური მოპყრობანი. დაპატიმრებულთ სასტიკად აწამებენ.

ესპანეთი

მაროკკოს ავანტიურის შედეგი.

ჩიკაგო. 10 აგვისტო. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის კორესპონდენტი მადრიდში ამტკიცებს, რომ ესპანეთი სამხედრო გადატრიალების წინაშე სდგას და ლიბერალები ჩამოშორდებიან პოლიტიკურ ასპარეზს. საზოგადოებრივი აზრი ორადაა გაყოფილი: ერთი მხარე მოითხოვს მაროკკოს კატასტროფის სრულს გამომჟღავნებას და დამნაშავეთა დასჯას; მეორე მხარე კი მოითხოვს უმაღლეს სამხედრო-საზღვაო საბჭოს თავმჯდომარე აგვილერას დასჯას, რომელმაც შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა ყოფილ სამხედრო მინისტრს. პარლამენტში სოციალისტები და რესპუბლიკელები ცხარეთ ილაშქრებდნენ მეფის წინააღმდეგ და ბრალსა სდებდნენ ავანტიურაში.

საბჭოთა კავშირში

ფიზიკური კულტურის პირველი დღესასწაული.

მოსკოვი. 9 აგვისტო. ფიზიკურ კულტურის უმაღლესი საბჭო 1-15 სექტემბრამდე მოსკოვში აწყობს ს. ს. რ. კავშირის ფიზიკური კულტურის პირველ დღესასწაულს. დღესასწაულის პროგრამაა: სანიმუშო გამოსვლები, პროლეტარულ ფიზიკურ კულტურის განყოფილებათა შეჯიბრება მურავეის პროგრამის მიხედვით და მსუბუქ ატლეტიკაში, სროლის საქმეში, ავტომობილის თამაშში და სხვ. პირველობის გათამაშება.

მონაწილეებს აგზავნის ფიზიკური კულტურის საბჭო და ეს მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან სადგომებით შემდეგი ანგარიშ თ. 1) ს. ს. რ. კავშირის სპორტის პირველობაში შეჯიბრება—პირველი ჯგუფი შესდგება 40 კაცისაგან, პეტროგრადის გუბ. მეორე ჯგუფი 30—კაცი ხარკოვის და კიევის გუბერნიები და საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკა, მესამე ჯგუფი—25 კაცი ვიატკის, იაროსლავის, სამარის, ნოვონიკოლაევის, ტომსკის გუბერნიები და დონის ოლქი, სათათრეთის რესპუბლიკა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა, მეოთხე—15 კაცი—ვლადიმირის, ვოლოგოდის, ენისეესკის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ირკუტსკის, ნიჟეგოროდის, ომსკის, ორლოვის, პენზის, პერმის, სარატოვის, სიმბირსკის, სმოლენსკის, სტავროპოლის, ტვერის და ტულას გუბერნიები და სირ-დარიის ოლქი, ბაშკირეთის რესპუბლიკა, ყირიმის რესპუბლიკა, მეხუთე ჯგუფი—7 კაცი, ჩელიაბინსკის, ეკატერინბურგის და ტიუმენის გუბერნიები. პროლეტარულ ფიზიკურ კულტურის შეჯიბრება „მურავეის“ პროგრამის მიხედვით:—პირველი ჯგუფი 40 კაცი მოსკოვის გუბერნიის შემდეგ მაზრებიდან: სერპუხოვის, ორეხოვის, კოლომნის, ბოგოროდის და ეგორიევის.

მეორე ჯგუფი—20 კაცი, დმიტრიევის, პოდოლის, კალუგის, ტვერის და კურსკის გუბერნიების მაზრებიდან.

სამგზავრო ხარჯები და სურსათის მოწოდება დაკისრებული აქვთ გამომგზავნელ ორგანიზაციებს—როგორიც არიან ფიზიკურ კულტურის საბჭოები და, სადაც ასეთები არ არიან, საგუბერნიო სამხედრო კომისარიატები, რუსეთის კომუნისტ ახალგაზრდობის კავშირთან შეთანხმებით. სათანადო განკარგულებას მოახდენს გამოფენის კომიტეტი, საგუბერნიო საადგილ-მამულო განყოფილებების მიმართ. მონაწილეთა ჩაწერა და მათი ფიზიკურ კულტურის სხვა და სხვა დარგებში განაწილება უნდა მოხდეს და გაიგზავნოს არა უგვიანეს 25 აგვისტოსი შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ვარვარკა, 5 ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტში.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საფრანგეთის პრესა კუნოს სიტყვის შესახებ.

პარიზი. „ჟურნალ“-ის აზრით კუნოს უკანასკნელი გამოსვლა რეიხსტაგში საკონტრიბუციო საკითხის შესახებ, მოწმობს მის უკიდურეს შეურიგებლობას და არსებულ მდგომარეობის სრულ შეუგნებლობას. „პტი პარიზენ“-ი სწერს, რომ სიტყვა არ გამოიწვევს საფრანგეთში არავითარ გაკვირვებას. გაზეთი ირონიულათ აცხადებს: „იქნებ კუნოს სიტყვამ ჩვენს მეგობრებს—ინგლისელებს აუხსნას ნამდვილი განზრახვა გერმანიის მთავრობისა“. „ფიგარო“ კანცლერის სიტყვაში მისი პოლიტიკის გაკოტრების შეგნებას ხედავს.

გამოფენის მნიშვნელობა.

მოსკოვი. 9 აგვისტო. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს, ამხ. კამენევმა ხაზგასმით აღნიშნა სრულიადსაკავშირო მომავალ გამოფენის მნიშვნელობა. გამოფენა თვალწინ გადაგვიშლის, საკავშირო სახალხო მეურნეობას თავისი ნამდვილი სახით, და რამიმე შელამაზებით არ დაჰფარავს მეურნეობის ნაკლს. იგი თვალნათლად გვიჩვენებს უფსკრულს, რომელიც არსებობს საკავშირო ბუნებითი სიმდიდრეთა და მათი გამოყენების მდაბალ დონეს შუა რითაც აღვიძრავს ასეთი მუშაობის ენერგიას. ყველა საკავშირო რესპუბლიკებიდან მიღებულ აუარებელ ექსპონატების წყალობით, გამოფენა გარდაიქმნება ბუნების მეტყველების მასსიურ სკოლად.

ლატვიის ექსკურსია გამოფენაზე

რიგა. 8 აგვის. ლატვიის პრესის ცნობის მიხედვით, სრულიად საკავშირო გამოფენაზე მიდის ლატვიის მეცნიერთა, სტუდენტთა და ჟურნალისტთა ექსკურსია.

პრინციპში:- „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“- ბოლშევიკები პირიქით სოციალიზმისაკენ მიმავალ ერთად-ერთ გზას ხედავდენ პრინციპში: „დიქტატურის გზით სოციალიზმისაკენ“.

6. ამით აიხსნება ის ფრიად სამწუხარო მოვლენა, რომ როცა დადგა საკითხი რუსეთის მუშათა კლასის წინაშე ან ძალაუფლების ხელში აღება, ან ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა და სოციალისტური საქმიანობის მომავლისათვის გადადება— მაშინდელმა ჩვენმა მენშევიკურმა პარტიამ უკანასკნელი გზა აირჩია ე. ი. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა და „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ სიარული.

7. მართალია მენშევიკურმა პარტიამ მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში 1917 წლის რევოლიუციამდე დიდი ენერგია გამოიჩინა, მაგრამ თებერვლის რევოლიუციის ხანაში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით მუშათა და გლეხთა საბჭოების საქმიანობას ნიადაგი გამოაცალა და ამით გზას უკაფავდენ რუსეთის კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას და ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მენშევიკურმა პარტიამ, ვიმეორებთ, ვერ გაბედა ძალა-უფლების ხელში აღება და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება.

8. მაგრამ რუსეთის მუშათა კლასს გამოუჩნდა ამ კრიტიკულ დროს ღირსეული წინამძღოლი კომუნისტურ პარტიის სახით და ოქტომბრის რევოლიუცია პროლეტარიატის გამარჯვებით დაგვირგვინდა; კომპარტიის მეთაურობით რუსეთის მუშათა კლასმა ხელთ იგდო სახელმწიფო ძალა და თავისი ბატონობა, დიქტატურა გამოაცხადა.

9. რევოლიუციის შემდეგ განვითარებამ ნათლად დაგვანახა, რომ ბოლშევიკების ტაქტიკა არამც თუ შემცდარი, პირიქით ის ერთად ერთი სწორი აღმოჩნდა, რომლის მეოხებით აღკვეთილი იქნა ყოველივე შესაძლებლობა რუსეთში კონტრ რევოლიუციის გამარჯვებისა.

10. საქართველოს ჩვენმა ყოფილმა მენშევიკურმა პარტიამ ვერ დააფასა სათანადოთ ხსენებული ოქტომბრის რევოლიუცია, უკანასკნელი მან გაიგო ისე, თითქოს ის მხოლოდ და მხოლოდ ავანტიურა ყოფილიყოს, რუსეთის ბოლშევიკების მიერ მოწყობილი, რომელიც ორ სამ თვეში უნდა ჩამქრალიყო.

11. მაგრამ ვინაიდან ეს არ მოხდა და პირიქით ოქტომბრის რევოლიუციამ თანდათან გაღრმავება იწყო, საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ დახმარების ნაცვლად მას ზურგი შეაქცია და ჯერ ამიერ-კავკასიის, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით იქცა დასავლეთის იმპერიალისტების ხელში ბრმა იარაღათ, რომელიც მიმართული შეიქნა ოქტომბრის რევოლიუციის საწინააღმდეგოთ.

12. 1921 წლის თებერვლის გადატრიალებამ და მის შემდეგ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავ მუშაობამ ჩვენ ფოთელი ყოფილი მენშევიკებიც სავსებით დაგვარწმუნა იმაში, რომ არ არსებობს სხვა გზა მუშათა კლასის განსათავისუფლებლათ, გარდა იმ გზისა, რომელსაც ადგია კომუნისტური პარტია და 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალი.

13. ამიტომ ცხადია, რომ ყოველგვარი ძალა, ხსენებულ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, უეჭველი მტერია მუშათა კლასისა; ცხადია ამიტომ ისე, რომ დამარცხება კომპარტიისა ნიშნავს იმავე დროს სოციალიზმის საბოლოო დამარცხებას.

გამოდის რა ყოველივე ზემოთქმულიდან ქ. ფოთის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია ადგენს:

1. იმ დროს, როდესაც საერთაშორისო რეაქცია თავს უყრის ძალებს და შეუპოვარ ბრძოლაში შებმისათვის ემზადება მშრომელ მასებთან, როდესაც მთელი საზოგადოება ორ მოსისხლე ბანაკად არის გაყოფილი, ჩვენ, მუშებმა არ შეიძლება სხვა არჩევანი მოვახდინოთ, გარდა იმისა, რომ მონაწილეობა მივიღოთ ამ ბრძოლაში და მტკიცეთ ვიდგეთ პროლეტარიატის რიგებში.

2. ვთვლით რა მენშევიკურ პარტიის პოზიციას ოქტომბრის რევოლიუციის მიმართ შემცდარათ და რეალურ პირობებთან შეუფარდებლათ, ჩვენ ვსწყვეტთ კავშირს ამ პარტიის ტაქტიკასთან და მტკიცეთ ვდგებით პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპზე, რომელიც გლეხობასთან მჭიდრო კავშირით შესძლებს ძალა-უფლების თავის ხელში შენარჩუნებას.

3. ვთვლით რა დაძველებულათ სრულებით მიუღებლად მიმდინარე რევოლიუციონურ ეპოქისათვის პრინციპს: „სოციალიზმისაკენ დემოკრატიული გზით“, რომლის წინააღმდეგ აღმოჩნდა რევოლიუციის მთელი მსვლელობა, კონფერენცია სავსებით სდგება პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

4. ღრმათ დავრწმუნდით იმაში, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არის რეაქციონური ნაბიჯი; კონფერენცია მოუწოდებს იმ მენშევიკებს, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შეურიგდენ რევოლიუციონური პროლეტარიატის ნებასა და მის ბატონობას და ყოვლის მხრით დაეხმარონ მუშების და გლეხების ხელისუფლებას მუშათა კლასის იდეალების სრული გამარჯვების ინტერესებისათვის.

5. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საზოგადოდ ყოფილი მენშევიკების კონფერენციებმა სხვა და სხვა ქალაქებში და მაზრებში დაშლილათ გამოაცხადეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, კონფერენცია ამასთანავე დაშლილათ აცხადებს ფოთის მენშევიკურ ორგანიზაციასაც და წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას საჩქაროდ ყოფილ მენშევიკების ყრილობა სრულიად საქართველოს მაშტაბით ჩვენი პარტიიდან გასულ ამხანაგების შემდეგი რევოლიუციონური მოღვაწეობის და მთელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკური პარტიის არსებობის საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს“.

დეკლარაციის მიღების შემდეგ მისასალმებელ სიტყვებით გამოვიდენ პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. მეგრელიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გოგია, გადამტვირთველთა მუშების სახელით ამხ. უჩამეიშვილი და ახალგაზრდათა კომკავშირის სახელით ამხ. ვაშალომიძე.

მისალმების სიტყვების შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი მოწოდებები.

იზოლიაციაში მყოფ მენშევიკებისა და არალეგალურათ მომუშავე მუშაკებისადმი.

ამხანაგებო, მაშინ, როდესაც მენშევიკურ პარტიის საუკეთესო ნაწილი ერთხელ და სამუდამოთ გმობს თავის წარსულს და ემზადება რევოლიუციონურ რიგებში ჩასადგომათ, მაშინ, როდესაც მთელ საქართველოში ხდება ყოფილ მენშევიკურ ორგანიზაციების წევრთა კონფერენციები, რომელიც იმუშავებენ და არკვევენ ჩვენ მომავალ სამოქმედო გეზს, ამ დროს ჩვენ არ გვესმის ხმა ნაწილის ჩვენი ორგანიზაციის წევრებისა, რომლებიც იზოლიაციაში იმყოფებიან.

ამხანაგებო, ნუ თუ თქვენ გინდათ სვლა იმ გზით, რომელმაც გათქვიფა ბურჟუაზიაში და მის ლაქიებათ აქცია ჩვენი ორგანიზაციები. (მოიგონეთ ფილიპე სნოუდენის განცხადება თემთა პალატაში, ვანდერველდე, შეიდემანი, მაკდონალდი ინგლისის კოროლის ბანკეტზე და სხვები).

მუშათა მასამ, ძველმა რევოლიუციონურმა ნაწილებმა უკვე გასწყვიტეს კავშირი მენშევიკებთან და მასვე მოველით თქვენგან. ის დარწმუნებულია, რომ თქვენ დაბრუნდებით ჩვენს ოჯახში ძალიან ჩქარა და ბარიკადების მეორე მხარეებიდან გამოგვიწოდებთ ძმურ ხელებს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

ახალგაზრდათა მარქსისტებს.

ამხანაგებო! მომავალი თაობა—ეს სიამაყეა პროლეტარიატის. მარქსისტულათ განწყობილი ახალგაზრდობა დიდი ხნით ვერ უნდა დარჩეს და ვერ დარჩება მებრძოლ პროლეტარიატის მოწინააღმდეგეთა რიგებში. თქვენ უნდა შესცვალოთ ბრძოლაში დაღლილი მებრძოლნი. ყოფილი მენშევიკური ორგანიზაციის მუშური ნაწილი მოგიწოდებთ თქვენ ერთხელ და სამუდამოთ დაჰგმოთ ოპორტიუნისტური გზა ბერნშტეინ—შეიდემანებისა და დაადგეთ რევოლიუციონურ მარქსისტულ გზას.

მუშა ქალებისადმი.

ამხანაგებო! მუშური ნაწილი მენშევიკურ ორგანიზაციისა, ღებულობს რა მხედველობაში მუშა ქალთა როლის მნიშვნელობას პროლეტარიატთა რიგებში, ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ დღეს, როდესაც ნაწილი ჩვენი პარტიისა უბრუნდება ნამდვილ რევოლიუციონურ გზას, თქვენ დარჩეთ მებრძოლთა რიგების მოწინააღმდეგე მხარეზე.

ერთად გვივლია, ერთად შევძლებთ ჩვენი წარსულის შეცდომების დაგმობას და მომავალში პროლეტარიატთა რიგებში ჩადგომას რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

გაუმარჯოს ქალთა ბრძოლას პროლეტარიატის რიგებში.

დელეგატები მომავალ ყრილობაზე.

მოწოდების შემდეგ იქნა არჩეული დელეგატები სრულიად საქართველოს კონფერენციაზე—სულ 12 კაცი, მათ შორის ერთი ქალი.

1. უნგიაძე თ. მუშა პ. წევ. 1905 წ:
2. თოფურია გრ. „ „ „ 1902 წ.
3. გუბელაძე დიმ. „ „ „ 1901 „
4. ბასილაია სილ. „ „ „ 1903 „
5. მამალაძე სამ. „ „ „ 1903 „
6. ჩაგანავა იაკ. „ „ „ 1905 „
7. მახარაძე ვას. „ „ „ 1908 „
8. მახარაძე ილ. „ „ „ 1902 „
9. ბასილაია მირ. „ „ „ 1905 „
10. გოგიბერიძე ს. „ „ „ 1902 „
11. ბაზიარი რაჟ. „ „ „ 1902 „
12. ბოლქვაძე ოლია „ „ „ 1917 „

კონფერენცია ჩატარდა ერთსულოვნად ჩვენ—განაცხადეს მუშებმა,—არ ვართ ჩვეული ტყვილად ლაპარაკს, ჩვენ რომ ვიტყვით, იმას არ გადავთქვამთ, ჩვენ სრული შეგნებით გამოვედით მენშევიკური პარტიიდან და სრული შეგნებით დავადექით რევოლიუციონურ გზას, ძველ გზას, რომელსაც ჩამოგვაშორეს ჩვენმა ყოფილმა ბელადებმა“.

კონფერენცია ინტერნაციონალით დაიხურა ღამის 12 საათზე

ბათომი

ქ. ბათომის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია.

5 აგვისტოს ქ. ბათომში შესდგა ყოფილ მენშევიკების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო პარტიული სტაჟის მიხედვით: 1895—1, 1901—2, 1902—21, 1903—4, 1904—1, 1905—4, 1909—1, 1917—2, 1918—1 და 1919—1. ამათში მუშები 16, კანცელიარიის დაბალი მოხელენი 2 და ფერშალი 1; სულ 19 კაცი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. ყუფარაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მენშევიკური პარტიის ბათომის ორგანიზაციის გაუქმების შესახებ, 2. სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა და სხვა.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ყუფარაძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მენშევიკური პარტიის ღალატი მუშათა კლასისადმი. მენშევიკური პარტია თავიდანვე ასცდა სოციალიზმის გზას და ბურჟუაზიულ წუმპეში გადაეშვა. ჩვენ, რომლებმაც შევიცნეთ მენშევიკური პარტიის გეზის სიმრუდე, უნდა გამოვაცხადოთ ასეთი ორგანიზაცია გაუქმებულად.

კონფერენციამ ბათომის მენშევიკური ორგანიზაცია გაუქმებულად გამოაცხადა.

შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს დეკლარაციას.

დეკლარაცია.

მენშევიკური პარტიის ხაზი შემცდარი იყო ჯერ კიდევ მსოფლიო ომის საკითხში, და რევოლიუციის შემდეგ კი სავსებით გამოაშკარავდა მათი მოღალატური მოქმედება, ღალატი მარქსისტული პრინციპებისა.

ოქტომბრის რევოლიუციამ ნათელყო ამ პარტიის ბელადების შეცდომები და საერთოდ მენშევიკურ პარტიის ლოზუნგის: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ უსაფუძვლობა.

ჩვენ, მენშევიკური პარტიის ბათომის ორგანიზაციის ყოფილი წევრები, რომლებიც ჩვენი უბედური ხელმძღვანელების მეოხებით ამცდარი ვიყავით ნამდვილ სოციალისტურ გზას, დავრწმუნდით, რომ ერთად-ერთი მუშა კლასის და მის ინტერესების გამომხატველი და მედგარი დამცველი არის კომუნისტური პარტია.

კომუნისტურმა მოძრაობამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკების არსებობამ დააფრთხო ევროპის ბურჟუაზია. აჩრდილი სოციალისტურ რევოლიუციისა მოსვენებას არ აძლევს მათ და ისინიც, ფაშიზმის სახით, ირაზმებიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. აქ შუაში ჩადგომა და მომრიგებლის როლის თამაში, როგორც ამას II ყვითელი ინტერნაციონალი სჩადის, ჩვენ, ყოფილ მენშევიკებს, მიგვაჩნია მოღალატურ მოქმედებათ მუშათა კლასის მიმართ.

გამოვდივართ რა აქედან, ჩვენი პროლეტარული სინიდისი გვიკარნახებს გვერდში ამოუდგეთ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასას და მის ავანგარდს, მესამე ინტერნაციონალს.

ამასთანავე საქვეყნოთ ვაცხადებთ რომ საზღვარ გარეთ მოკალათებულ ემიგრანტ მენშევიკების, ნოე ჟორდანიას და მის კომპანიის მიერ გავრცელებული უსაფუძვლო ჭორები ვერ შეარყევს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასის ნდობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ჩვენ, გამყიდველ ხელმძღვანელების ასეთ უმგვანო მოქმედებას სასტიკათ ვგმობთ

კონფერენციამ დეკლარაცია მიიღო უცვლელად.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. ბზეკალავამ, რომელმაც აღნიშნა მენშევიკური პარტიის გამცემელი პოლიტიკა საქართველოში. შემდეგ გამოსთქვა სიხარული, რომ ყოფილმა მენშევიკებმა შეიგრძნეს ძველი შეცდომანი, ამ ჟამად გამოდიან მათ რიგებიდან და სდგებიან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

ამხ. ბზეკალავას შემდეგ სიტყვას ამბობს ყოფილი მენშევიკი ს ყუფარაძე, რომელმაც სთქვა, რომ ჩვენ მთელი ჩვენი არსებით ვიმუშავებთ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და ხელი-ხელ ჩაკიდებული კომპარტიასთან ვიმუშავებთ მშრომელთა საკეთილდღეოთ“.

კონფერენციამ სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა მომავალ ყრილობაზე წარსაგზავნად აირჩია ამხ. ვლ. მაჩაბელი (ძველი მენშევიკი 1903 წლიდან).

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 9 აგვისტო. გემმა „პონტოს“-მა მოიტანა ტვირთები „აზნეფტისათვის“ (მავთულის კანაფი, ტრანსფორმატორები, ღვედები და სხვა), მოხალისე ფლოტისათვის (ქატრაკები, ავტომობილები, მილები) და კერძო პირთათვის (თუნუქი, ტრაქტორები, ავტომობილები, კაკაო, ყავე და სხვ.)

გემი „კერჩი“ წავიდა ოდესაში და თან წაიღო [illegible] ფუთი სხვა და სხვა ტვირთი.

გაწმენდის კვირეული.

ბათომი. 9 აგვისტო. საგანგებო სანიტარულმა სამეულმა დაადგინა დაიწყოს გაწმენდის კვირეული 10 აგვისტოდან. კვირეულის ჩატარება დაევალა ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას. ყველა ხარჯები, კვირეულის ჩასატარებლად უნდა იკისრონ სახლის პატრონებმა.

აფხაზეთი.

აღწერა.

სოხუმი. 10 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა შინაგან საქმეთა კომისარიატს, რათა სასწრაფო წესით მისწეროს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეებს, რათა ყოველის ღონისძიებით ადგილობრივ ხელი შეუწყონ პერსონალურ აღწერას.

გამოფენაზე.

სოხუმი. 10 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭომ 100 მილიონი მანეთი გადასდო ექსკურსანტების შესანახად. ვიდრე მათ მოსკოვის სრულიად საკავშირო გამოფენაზე გაისტუმრებდეს.

ქვანახშირი.

სოხუმი. 10 აგვისტო. გაზ. „მშრომელი აბხაზეთი“-ს კორესპოდენტის ცნობით, სოფ. ცხურში, (სამურზაყანოს მაზრა, ქალაქ გალის მახლობლად) აღმოჩნდა ქვანახშირის მადანი, რომელიც ფართო მანძილზე მისდევს და მარჯვე გზების წყალობით, ადვილი დასამუშავებელია.

სომხეთი

კოოპერატიული დუქნები.

აშტარაქი. 9 აგვისტო. სომხეთის კოოპერატიულმა სამმართველომ აშტარაქში გახსნა კოოპერატიული დუქანი.

ასეთივე დუქანი გაიხსნა სოფ. ალი-ქუჩაყში, აბარანის რაიონში.

ერთიანი მუშათა კოოპერატივი.

ერევანი 9 აგვისტო. ამ დღეებში მოხდა კრება [illegible] ნაწილის მებაღეთა, მომხმარებელთა და საკრედიტო დაწესებულებათა კოოპერატივების წარმომადგენლებისა. დადგენილება მიიღეს, შექმნან ერთიანი მუშათა კოოპერატივი. ამ მუშათა ერთიან კოოპერატივის წესდება დამტკიცებულია. მიმართვა გაეგზავნა სომხეთის კოოპერატივთა სამმართველოს, რათა სესხად მიეცეთ 10,000 მან. ოქროთი.

პარტიული ცხოვრება

შეფობის მიღება.

საგადასახადო სამსახურის კომიაჩეიკამ № 13, 5 აგვისტოს მიიღო შეფობა სოფელ ურბნისზე. სოფელი ურბნისი შესდგება 200 კომლისაგან. გლეხების 90 პროცენტი უსწავლელია. არის ერთი სკოლა. პოლიტიკური მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი: სოფელში მხოლოდ ერთი კომუნისტია. სამკურნალო დახმარება მოითხოვს გაუმჯობესებას

სოფელი თავის შეფზე დიდ იმედებს ამყარებს.

საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის 2-რე რაიონის კლუბის გახსნა.

საღამოს რვა საათია. ყოფილ მისიონერთა ეკლესიის ეზო (მილიუტინისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე) სრულებით ავსილია ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებით და უპარტიო ახალგაზრდობით. ყველას სახეებზე მხიარულება მოსჩანს და გამარჯვების ნიშანი არის აღბეჭდილი; სხვანაირათ არც შეიძლება რომ იყოს, რადგან სიცრუისა და სიბნელის კერა დღეიდან პროგრესისა და კულტურის ტაძრათ ხდება. 8 ნახ. საათზე კლუბი ავსილი იყო და ამხ. გავრიშმა გახსნა საღამო შესავალი სიტყვით, რომელმაც აღნიშნა ის, რომ დღეს ზეიმით იხსნება მეორე რაიონის კლუბი და ამიერიდან ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებს აქვთ ადგილი, სადაც მათ შეუძლიანთ გაშალონ თავისი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის თბილისის კომიტეტის სახელით კლუბის გახსნას მიესალმა ამხ. დევდარიანი: „იქ, სადაც წინათ კლავდენ ცოდნისა და სინათლის სიყვარულს, ეხლა მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ცოდნასა და სინათლეს, სახელდობრ ჩვენს, ახალგაზრდათა კომკავშირის კლუბს, სადაც მომზადდებიან ჩვენი ახალგაზრდა ძალები ძველი, დაღლილი ამხანაგების, კომუნისტურ პარტიის წევრების შესაცვლელათ“.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 2 რე რაიონის სახელით ილაპარაკა ამხ. ნაზაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ის შტაბი, საიდგანაც წინეთ ხვრეტდნენ პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს, ეხლა გადაიქცა მეცნიერებისა და ყველა ერების ძმობის ტაძრათ და კულტურის დამნერგავათ. საკურთხევლიდან, საიდგანაც წინეთ მღვდლები ატყუებდნენ მშრომელ ხალხს, ეხლა გაისმება ცოდნისა და მეცნიერების სიტყვები.

ბევრი თბილი სიტყვები და მხურვალე სურვილები იყო გამოთქმული. ყველა ორატორები ხაზს უსვამდენ ამ დღის მნიშვნელობას ახალგაზრდათა კომკავშირისათვის. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა 2 რაიონისა იმდენათ, რამდენათაც მისიონერთა ეკლესია წინეთ შავი რეაქციის ბუდე იყო და იქიდან კბილების ღრჭენა და ცილისწამებები გამოდიოდენ წინეთ რევოლიუციონურ პარტიებზე, ამ დღემდის კი საბჭოთა ხელისუფლებაზეც კი. მისიონერთა ეკლესია, რომელიც აშენებული იყო კავკასიის დაპყრობის ნიშნათ და რომელიც განაგრძობდა არსებობას საბჭოთა ხელისუფლების დროსაც კი, ჩვენი სინამდვილის ჭუჭყიანი ლაქა იყო.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მთელ რიგ სხვა ამხანაგებმა, რომელთაც ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ იქ, სადაც წინეთ თავს იფარავდა კონტრ რევოლიუცია და შავრაზმელი სამღვდელოება, ეხლა თავისუფლების ძლიერი ჰიმნი ისმის. ორატორების სიტყვები ძლიერი ტაშითა და „ურა“-თი იყო დაფარული.

ყველა გამოსული ამხანაგები სათანადოთ აფასებდენ ამ საქმის ინიციატორის ამხ. გავრიშის მუშაობას.

მთელი დარბაზი ზანზარებდა დიდხანს არ დაწყნარებულ ხმებისაგან: გავრიშ-გავრიუშკა—ურა.

ასე აფასებს ახალგაზრდობა თავის მუშაკებს.

უკანასკნელათ გამოვიდა ახალგაზრდათა კომკავშირის 2-რე რაიონის წევრი, რომელმაც 2 რაიკომის სახელით წინადადება შემოიტანა აღნიშნული იქნეს წითელ დაფაზე ამხ. გავრიში მის დაუღალავ მუშაობისათვის.

ამასთანავე კლუბის აშენებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ამხ. მამია ორახელაშვილიც და წინადადება მისცა დამსწრეებს დაარქვან თავის კლუბს მამია ორახელაშვილის სახელი.

მქუხარე ტაშმა იგრიალა ამის საპასუხოდ. ყველას სახეები მხიარულათ ეღიმოდა მიღწეულ კარგ დასასრულის გამო. ეს საუკეთესო ფაქტორია ახალგაზრდათა კომკავშირის ცხოვრებისა.

მისალმების შემდეგ გუნდის მიერ შესრულებული იყო სიმღერები, რის შემდეგაც გაიმართა წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენებზე.

საღამო საერთოდ მეტად მხიარული იყო და დიდის აღტყინებითაც ჩატარდა; საღამომ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

რ.

ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა კომისარიატების კომუჯრედში.

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს შესდგა აღნიშნულ კომისარიატების კომუჯრედთა გაერთიანებული ღია სხდომა ყველა თანამშრომელთა თანდასწრებით დღის წესრიგში იდგა მოხსენება: „საჰერო ფლოტი და მისი მნიშვნელობის“ შესახებ. მომხსენებელი ა. კ. ავიაციის უფროსი ამხ. შუიკოვი, აკეთებს რა ავიაციის განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, აღნიშნავს, რომ ეხლანდელ პირობებში ომის წარმოება შეუძლებელია უავიაციოთ. უკანასკნელი იმპერიალისტური ომის დასაწყისში, ყველა სახელმწიფოების განკარგულებაში სულ 600-მდე თვითმფრინავი იყო. ეხლა კი მათი რიცხვი აღემატება 150.000 ს. მათ შორის მხოლოდ საფრანგეთს 40.000 თვითმფრინავი ეკუთვნის.

ჰაეროპლანები აწარმოებდენ დაზვერვას და ყუმბარების ჩამოგდებას. თითო ჰაეროპლანს შეეძლო მხოლოდ 10 ფუთი ყუმბარის აღება და 2—3 ტყვიის მფრქვეველის. ეხლა კი ერთ ამერიკულ ჰაეროპლანს აქვს 30 ტყვიის მფრქვეველი, რომელნიც ერთ წუთს 40.000 ყვიას გაისვრიან, 5 ჩვეულებრივი სიდიდის ზარბაზანი და რამოდენიმე 240 ფუთიანი ყუმბარა, რომელმაც სინჯვის დროს ზღვაში აფეთქებით, შესძლო იქვე ახლო მდგარ დრედნოუტის გადაბრუნება და დაძირვა ასეთ ჰაეროპლანს შეუძლია 140 კაცის გადაზიდვა. იტალიაში მზადდება ერთი კონსტრუქციის თვითმფრინავი, რომელმაც 500 მგზავრი უნდა აიყვანოს. ჩვეულებრივათ ევროპაში სამხედრო ჰაეროპლანს აყავს 60 შეიარაღებული მხედარი, რუსეთში კი ჯერ ჯერობით მხოლოდ 8 მგზავრი. რაც შეეხება ფრენის სისწრაფეს ნაცვლად წინანდელი 200 ვერსისა, ეხლა ჰაეროპლანი გადის საათში 400 ვერსს და 5 წლის შემდეგ ფრენის სისწრაფემ შეიძლება გადაამეტოს 3000 ვერსს საათში, ამ შემთხვევაში ჰაეროპლანის სისწრაფე გადააჭარბებს დედამიწის ბრუნვის სისწრაფეს. ასეთ პირობებში ძლიერი, სამხედრო საჰაერო ფლოტის პატრონი სახელმწიფო, მეტათ საშიშ მტერს წარმოადგენს, რის გამო რუსეთში ეხლა ფრიად გაძლიერდა მოძრაობა საკუთარი ძლიერი ფლოტის შესაქმნელად

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ავიაციასაც. ეხლა არც ერთი დიდი ქალაქი დედამიწაზე არ დარჩენილა, რომ არ იყოს შეერთებული სხვა ქალაქებთან საჰაერო ხაზით, რომელზეც ათასობით და ათი ათასობით მიფრინავენ მგზავრები და გადააქვთ ფოსტა. თვითმფრინავი გამოსადეგია ზღვაშიც, როდესაც საჭიროა წყალქვეშა ნავის, გემის ან თევზთა ხროვის აღმოჩენა. გეოგრაფიული რუქების შესადგენად ჰაეროპლანი ერთი საათის განმავლობაში იღებს ადგილმდებარეობის სურათს და გეგმას 100 ოთხკუთხი ვერსის სივრცით.

კალიასთან ბრძოლაში ჰაეროპლანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უცხო, მიუწდომელ ქვეყნის შესწავლა მხოლოდ ჰაეროპლანით შეიძლება. ერთი სიტყვით არ არსებობს დარგი, სადაც ჰაეროპლანი სასწაულისებურ დახმარებას არ უწევდეს კაცობრიობას.

რაც შეეხება ჰაეროპლანით მგზავრობის საშიშროებას, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან ევროპაში ჰაეროპლანით მოგზაურობა გაცილებით ნაკლებ მსხვერპლს მოითხოვს ვიდრე სხვა რომელიმე ხმელეთის ან ზღვის გადასაზიდი საშუალება. საბჭოთა კავშირშიც მალე იქნება მიღწეული ასეთი მსხვერპლთა მინიმუმი.

ავიაციის ასეთი მნიშვნელობის გამო, საბჭოთა დიდ კავშირში ამ ჟამად დაარსებულია დიდი ორგანიზაცია: 1) საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. ამიერ-კავკასიაში არსებობს ა. კ. ავიაცაა რომელიც ხელს შეუწყობს პროლეტარულ ავიაციის განვითარებას ჩვენში. 4 აგვისტოდან იწყება ავიაციის კვირეული.

მომხსენებელი ათავებს თავის ფრიად საინტერესო მოხსენებას მოწოდებით ჩაეწერონ ამხანაგები აღნიშნულ საზოგადოებაში წევრებათ.

მიღებულ რეზოლიუციაში, კრება ერთხმად ადგენს კოლექტიურად ჩაეწერონ ს. ფ. მ. ს. წევრებათ.

ინფორმატორი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(10 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	24.500
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2000
გირ. სტერლინგ. ეფფექ.	24,400
ჩეკები —	22,800
დოლარები ეფფექტ. —	5,050
„ ჩეკები —	4,650
ოსმ. ქალ. ლირა ეფფექტ.	3,500
იტალიური ლირა — —	180
ფრანგული ფრანკი —	250
საბჭოთა ფულის ნიშ.	16

მუშკოპის ფასები.

(10 აგვისტო).

პური—90 ათასი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ.—200. ნატეხი შაქარი—1.300 ათ., ფხვნილი შაქარი 1 მილ. ძროხის ხორცი—450. ცხვრის ხორცი—650. თუშური ყველი—800. ჰოლანდიური ყველი—700. ერევნის ბრინჯი—375. კარტოფილი—80. კომბოსტო—70 წითელი ლობიო—40. მწვანე ლობიო—75. პამიდორი—80. ბადრიჯანი ც—25. დაფშვნილი და ქვა მარილი—100. ხახვი გირ.—100.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(10 აგვისტო).

პური 1 ხარ.—200-250, პური 2 ხარ. 100—150; ფქვილი 1 ხ.—250 ნატეხი შაქარი—1.800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1 300. ერბო 1.400 ათ., კარაქი—1.200—1 400. მზესუმზირას ზეთი—700. ერევნის ბრინჯი—350—400. კართოფილი—80—100. კომბოსტო—80. ჭარხალი—70—80. პამიდორი—100—150. ხახვი გ.—100—120. ძროხის ხორცი—350—550. კვერცხი 10 ც.—600.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(10 აგვისტო)

სახურავის რკინეულობა. ინგლისური თეთრი თუნუქი. გაზისა და წყალსადენის მილები. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუს. ფანჯრის მინები; ბოთლები. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. საამშენებლო ლურსმნები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო—საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. შაქარი და ვერმიშელი 2 ხარ. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს. სახურავის რკინეულობა ურალის, ქაღალდი და კარტონები, რკინეულობა საღებავები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(10 აგვისტო)

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალამასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის. ნედლი ტყავები. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. შაბიამანი. ნახიჭევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი. ქერი. მზესუმზერა ზეთი რუსეთის.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

თბილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 10 აგვისტოს წინა დღესთან შედარებით უცვლელია.

საქართველოს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საქართველოს საგამომფენო კომიტეტმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა შემდეგი ექსპონატები:

სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება.

1) ბუნებისმეტყველების ქვეგანყოფილებამ საქართველოს გეოლოგიური, კლიმატიური მცენარეულობის გავრცელების, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების, სარწყავი რაიონების და აგრეთვე მოსარწყავად განზრახულ ადგილების რუქები. საქართველოს და მის ცალკე კუთხეების დამახასიათებელ ნიადაგების დიაგრამები და მონოლიტები.

2) ეკონომიკას და სასოფლო მეურნეობის მოწყობის ქვეგანყოფილება: სასოფლო მეურნეობის რაიონებად დაყოფის მასალები და სახ.-მეურნ. რაიონების ქარტები, კარტოგრამები, რომელნიც ახასიათებენ მიწადმოქმედებას, მესაქონლეობას, გლეხთა მოსახლეობის სიმჭიდროვეს, სხვადასხვა ნათესების განაწილებას რაიონების მიხედვით; სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რკინის გზით გადატან-გადმოტანის დიაგრამები; ცხრილები, რომელნიც იძლევიან გლეხის ტიპიურ მეურნეობის დახასიათებას საქართველოს უმთავრეს სასოფლო სამეურნეო რაიონებში საბიუჯეტო გამოკვლევის მიხედვით.

3) სასოფლო-სამეურნეო განათლების ქვეგანყოფილება, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების განაწილების ქარტები, ცხრილები სასოფლო-სამეურნეო განათლების მდგომარეობის და გავრცელების შესახებ საქართველოში.

4) აგრონომიულ დახმარების ქვეგანყოფილება, ადგილობრივი აგრონომიული პერსონალის, იარაღების გასაქირავებელი პუნქტების განაწილების ქარტები რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

აგრონომიული ორგანიზაციების მოღვაწეობიდან მიღებულ შედეგების დამახასიათებელი ქარტები, დიაგრამები და ცხრილები, რომელნიც იძლევიან „ცენტროსევის“ მოქმედების დახასიათებას 1921 და 1923 წელში. საქართველოს ბუნებრივ-ისტორიულ და ეკონომიურ პირობათა და სასოფლო-მეურნეობის მოკლე მიმოხილვა.

5) სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა და გამომცემლობის ქვეგანყოფილება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, რომელიც მიწ. სახ. კომ. წიგნების საწყობში მოიპოვება.

მესაქონლეობის განყოფილება.

ცოცხალი ექსპონატები, რძის ადგილობრივად ნაკეთები ჭურჭლეულობა: მეგრული ჭურჭელი, რომელიც იხმარება ადგილობრივი ყველის „სულგუნის“ დასამზადებლად; ქართლური კარაქის სახდელი თიხის ჭურჭელი, ხევსურული ჭურჭელი, თათრული და სხვა საკვების ნიმუშები (მარცვლეული, თივა და ტეხნიკურ წარმოებათა ნაშთები), გამოსაფენად გაგზავნილი პირუტყვის და საერთოდ ტიპიურ ეკზემპლიარების ფოტოგრაფიული სურათები, მესაქონლეთა ცხოვრების ზოგ-ზოგი მომენტების სურათები და სხვა. საქონლის გავრცელების მაჩვენებელი ქარტოგრამები მაზრების მიხედვით.

ტფილისის ბოტანიკური ბაღი.

კავკასიის და საქართველოს ოლქების და კუთხეების ბოტანიკო-გეოგრაფიული ქარტები. ამ. კავკასიის ლანდშაფტიდან გადაღებული მცენარეულობის სურათების ალბომი. ბოტანიკურ ბაღში დარგულ მცენარეთა სამეცნიერო ინსტიტუტების სურათების ალბომი.

საქართ. [illegible] ლობის და, თესლების, [illegible] ხორბლის, [illegible] და [illegible] ლი კოლლექციები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების კოლლექცია, მალიარიის კოღოების გავრცელების ქარტა და სხვა მრავალი ექსპონატი.

მეველეობის განყოფილება.

ველების, სათიბების და საძოვრების ქარტები. საველე ბალახეულობის ჰერბარიუმი. სხვადასხვა რაიონების თივის ნიმუშები (ყარაიაზის, ოლგინის, ბაკურიანის), თივის სხვადასხვა ნიმუშების ბოტანიკური ანალიზი. სხვადასხვა სათიბებისა და ველების გავრცელების მაჩვენებელი ცხრილები. საქ. ველური საკვები ბალახების და თესლების კოლლექცია.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა და იარაღთა განყოფილება.

ადგილობრივი (ქართული) სასოფლო იარაღები გუთნები, სახნისები (გუთანი, ორხელი, კავი) ფიწლები, ხის ორთითები, ფოლადის ნამგლები, ცულები (ნაჯახი) და სხვა.

საქართველოში გამოყენებული და ხმარებული ევროპიული მანქანები და იარაღები: გუთნები საკკის, ეპერგარტის, ეკკერტისა. ბრაბანტული და სხვა მსხვილი ნომრების გუთნები. საბალოსნო გუთნები სხვადასხვა ტიპისა და მარკისა, კულტივატორები, სათესი, სამკალი და სალეწი მანქანები.

ყოფა-ცხოვრების და მეოჯახეობის განყოფილება.

საოჯახო ავეჯეულობა, ჭურჭლეულობა და სხვა მაგალ. ხისგან გაკეთებული ფეხებიანი და ფიგურებ ამოჭრილი ყუთი—კიდობანი, რომელიც გამამცხვარ პურის შესანახად იხმარება. სალამური, თიხის ჯამი, სურა და კოკა—წყლის ჭურჭლები, საღვინე—ღვინის ჭურჭელი. სასაპნე—რქისგან გაკეთებული ჭურჭელი ურმისათვის.

კახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი და გურული გლეხების კარმიდამოს მოდელები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარითურთ და შენობებით. სვანურ ნაშენობათა მოდელები. საქართველოს შესახებ გამოცემული ეტნოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც შეიცავს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების მოსახლეობის დამახასიათებელ ყოფა-ცხოვრების აღწერას.

მეცხვარეთა და მესაქონლეთა საზოგადოება „ბირლიკ“

„ბირლიკ“-ი აერთიანებს მუსლიმან მშრომელ გლეხობას, რომელიც ეწევა მეცხვარეობასა და მესაქონლეობას. „ბირლიკ“-ი მუსლიმან გლეხობის ერთად-ერთი კომუნალურ-მეურნეობრივი გაერთიანებაა მთელს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. საზოგადოება აერთიანებს 800 ცალკე გლეხურ მეურნეობას. „ბირლიკ“-ის კაპიტალი აღწევს 12 მილიონ მანეთს (ომამდე არსებულ კურსის ანგარიშით).

„ბირლიკ“-ის ცენტრალური გამგეობა მოთავსებულია სიონის ქუჩაზე № 32.

ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება.

ა. წ. 28 ივლისს მეცხვარეთა და მესაქონლეთა საზოგადოება „ბირლიკ“-ის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ საზოგადოების საბჭოს 9 წევრი, წარუდგა ამიერ-კავკასიის ც. აღმ. კ—ის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას და მის მოადგილეს ვ. სტურუას, რომლებსაც გადასცა დაწვრილებითი მოხსენება ამიერ-კავკასიაში (და კერძოთ საქართველოში) მეცხვარეობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, იმ ღონისძიებათა აღნიშვნით, რომლებიც გაწეულ უნდა იქნეს ცხვრის შემცირების გაძლიერებულ ტენდენციის ასაცილებლათ და აგრეთვე მისი ღირსების, რაოდენობის და შემოსავლიანობის გასადიდებლათ. „ბირლიკ“-ი სთხოვს ც. ა კ. არსებულ სასოფლო-მეურნეობის დამხმარე კომიტეტს სესხს.

მთავრობის დახმარება „ბირლიკ“-ს.

ა. წ. 30 ივლისს ამ.-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს საფინანსო კომისიამ განიხილა რა ამ.-კავ. ფინანსთა სახ. კომ. მიერ შეტანილი საკითხი, თანახმათ საქრთველოს ც ა. კ. ის შუამდგომლობისა, მისცა მეცხვარეთა საზოგადოება „ბირლიკ“-ს მოკლევადიანი სესხი 20 მილიონი მან. ჩერვონეცით, საზოგადოების წევრებისათვის ავანსების დასარიგებლათ და მატყლის დამამზადებელ საშემოდგომო კამპანიის საჭიროებისათვის.

ანგარიშის გასწორება ამიერ კავ. სავაჭრო სამმართველოსთან.

„ბირლიკ“-ის გამგეობამ ხელშეკრულება დასდო მოქალაქე ალიევთან, ხელშეკრულების ძალით ალიევს „ბირლიკ“-ისთვის უნდა ჩაებარებინა 100 ფუთი ხმელი აბრეშუმის პარკისა ამ.-კავკასიის სახელმწ. სავაჭრო სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების სარეალიზაციოთ. სამმართველოს სასაქონლო განყოფილებამ თანხმობა განაცხადა მატყლის მაგიერ (რომელიც მისთვის „ბირლიკ“-ს უნდა გადაეცა) პარკის მიღებაზე.

საბოლოოთ ანგარიში გასწორებული იქნება არა უგვიანეს ა/წ. 20 აგვისტოსი.

საშემოდგომო მატყლის დამზადება.

„ბირლიკ“-ის გამგეობამ დანიშნა თავის წევრთაგან სპეციალური მატყლის დამამზადებელი ცენტრალური კომისია, რომელსაც ევალება საზოგადოების წევრთა შორის მატყლის შეგროვების კამპანიის ჩატარება. კომისიის წევრები უკვე გაემგზავრენ ადგილებზე. კომისიას გაცემული აქვს ამ.-კავკ. ც. ა. კ-ის მანდატები.

კანტორების და განყოფილებების გახსნა.

„ბირლიკ“-ის გამგეობამ დაადგინა მიმდინარე წლის შემოდგომისათვის გახსნას ყველა სოფლებში, სადაც ცხოვრობს საზოგადოების 50 ან მეტი წევრი, კანტორები და განყოფილებები. ამ განყოფილებებში მომარაგებული იქნება პირველი საჭიროების საგნები. ამ განყოფილებების შუამავლობით დამზადებული იქნება საზოგადოების წევრთა ნაწარმოები—ნედლი მასალა.

საპატიო მწყემსი მიხა ცხაკაია „ბირლიკ“-ის წევრთა სიაში.

გამგეობის დადგენილების თანახმად ამ. მიხა ცხაკაია ჩარიცხულია „ბირლიკ“-ის წევრთა სიაში როგორც საპატიო მწყემსი. საკვალიფიკაციო სია გაგზავნილია კავშირში ტარიფიკაციისათვის. გამგეობა სთხოვს ამხ. მიხა ცხაკაიას ნებართვას, რომ საპატიო მწყემსის ჯამაგირი იგზავნებოდეს მეცხვარეთა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ფონდში.

პირველი საჩუქარი მეცხვარეებს საპატიო მწყემსის ამხ. მიხა ცხაკაიასაგან.

„ბირლიკ“-ის გამგეობამ შეიძინა მუსლიმანურ გაზეთის „ენი-ფეკირ“-ის 1,000 ცალი, რომელშიც სხვათა შორის მოთავსებულია საზოგადოების მოწოდება წევრებისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია ის ნივთიერი და მორალური დახმარება, რომელსაც უწევს საბჭოთა ხელის უფლება საზოგადოებას და აგრეთვე ის ზომები, რომლებსაც იღებს გამგეობა თავისი მუშაობის გასაჯანსაღებლათ და საზოგადოების წევრებთან უფრო მჭიდრო კავშირის შესაქმნელათ.

1.000 ცალი „ენი-ფეკირ“-ისა დაეგზავნა წევრებს, როგორც საპატიო მწყემსის მიხა ცხაკაიას საჩუქარი მის ჯამაგირით შეძენილი.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მომავალ პლენუმისათვის.

ახლო მომავალში, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, მოწვეული იქნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა, სადაც მოსმენილი იქნება მოხსენება უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიისა.

კურორტების დათვალიერება.

რესპუბლიკის კურორტების მდგომარეობის გამოსარკვევად, საქართ-

მუშათა ცხოვრება

კვირას, 12 აგვისტოს, დილის 9 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს ბინაზე დანიშნულია ჩვენი მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება. კრების შემდეგ მუშკორები დაათვალიერებენ ქართ. საისტ.-ეთნოგრ. მუზეუმს. ყოველი მუშკორი ვალდებულია გამოცხადდეს ამ დღეს რედაქციაში დანიშნულ დროს.

შრომის ზეიმი

სადაც არაგვი მტკვარს უერთდება
და ორკეცდება ძალა ძლიერი,
მცხეთის ბოლოზე ქორწილი ხდება,
ხმები მოისმის გადამთიელი.
წყალს ბუნებრივად ფერი ეცვლება,
თითქო რცხვენია ქორწინებისა,
გრძელ მანძილზედა ორფერი რჩება,
მიმზიდველია დამნახველისა.
იტყვი: თან მოსდევს მშობლის სინდისი
გადმომლახველსა უღრან ტყე-ღრისა,
ურიცხვნი ერთად შეერთებულნი —
მოამბე არის ჩვენის ქვეყნისა.
საცა ეს წყალნი მთის მონაყურნი
შესაერთებლად ერთ-ურთ იქმობა,
იმ ადგილიდან ჩვენი ქვეყნისა
ასაყვავებლად არხი ეწყობა.
იქ შრომა არის გაცხარებული,
ჭკუა და ძალა შეერთებულა,
მთის მწვერვალიდან დაჰყურებს მწირი,
გაკვირვებული ჩაფიქრებულა.
ისმის სიმღერა, მუშათ გუგუნი,
ითხრება კლდე-ღრე, ღრმავდება არხი
თვითვე ჰქმნის თვისსა ბედნიერებას
შეერთებული მშრომელი ხალხი.
ისტორიული უტყვი მოწამე,
სვეტი-ცხოველსა გაჰყურებს მწირი;
რას იფიქრებდა, თუ მტკვარს და არაგვს
დაიმონებდა შრომისა შვილი.
თუ რომ შესცვლიდა იმის კალაპოტს,
მოიხმარებდა უძლევ ძალასა
ბნელს შეგვიცვლიდა სინათლეზედა
მიწებს მისცემდა საზრდო ძალასა.

მუშკორი შაქრო ნავთლუღელი.

სამწუხარო მოვლენა

(შრომის ორგანოების საყურადღებოდ)

ვინ არ იცის, რომ დღეს უმუშევართა მდგომარეობა საშინელ პირობებშია, ამიტომ თუ კი შეიძლება ხელის გაწვდენა რომელიმე უმუშევრებისათვის, მოხარული უნდა ვიყვნეთ. მე ვნახე სრულიად შემთხვევით ერთი ამხანაგი, რომელსაც ვიცნობ ათ წელზე მეტი და ვიცნობ ისე, როგორც საუკეთესო ენერგიულ და პატიოსან მუშას. ეს ამხანაგი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, თითქმის ერთი წელიწადია, უსაქმოდ დაიარება და განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. ის არის დაზღვეული, შრომის ბირჟის მიერ აღრიცხულია და პროფ-კავშირის წევრიცაა მისი დაარსებიდან. არ დაუტოვებია მას თბილისში თითქმის არც ერთი დაწესებულება, რომ არ მიემართნა თხოვნით ადგილის შესახებ. როგორც ელექტრონის მომუშავე, თითქმის ყოველ დღე დადიოდა „უეს“-ში და ყველას სამუშაოს მიცემას ემუდარებოდა და კიდევაც მიმართა მან თხოვნით „უეს“-ის გამგეს მოქ. აფანასიევს, მაგრამ მან მკვახედ უპასუხა მთხოვნელს: „У нас не благотворительное общество“. ამ პასუხის შემდეგ, ჩემი ნაცნობი მუშა—გულდაწყვეტილი დადის ქუჩა-ქუჩა და ყველა ნაცნობ-ამხანაგებს შესჩივის თავის აუტანელ მდგომარეობას. დადის თვითონ მშიერი და ცოლშვილიც ლამის სიმშილით ამოუწყდეს. მე საჭიროდ მიმაჩნია, ასეთ ამხანაგებს (ისინი კი ბევრნი არიან) მიექცეს უფრო მეტი ყურადღება შრომის დაცვის ორგანოებისაგან და დავიხსნათ ისინი რამე ფერად სიმშილისაგან. შრომის ბირჟა კი ვალდებულია ხელი შეუწყოს კეთილ-სინდისიერ და შრომის მოყვარე მუშა ამხანაგებს და არ დაჩაგროს ისინი მუშაობის წლობით მიუცემლობით.

მუშკორი გ. მ—შვილი.

ამხ. მუშების საყურადღებოდ

თბილისის ბევრ ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა მსგავს წარმოებებში მუშათა შორის. მოიპოვებიან ხოლმე ისეთი მუშები, რომელნიც დაინტერესებული არიან, როგორც თავიანთ მეურნეობის მდგომარეობის აწევით, ისე ამ მეურნეობასთან დაკავშირებულ მუშათა ცხოვრების სურათის გადმოცემით.

მუშებს, რომელნიც დიდი ხნით არიან ამა თუ იმ მეურნეობაში დაბანდებული, აქვთ საკმაო პრაქტიკული ცოდნა ამ მეურნეობისა, რომლის საშუალებითაც მათ შეგნებული აქვთ წარმოებისა და მისი მეურნეობის ყოველი მხარე. მათ ესმით როგორც მისი ტეხნიკური მხარე, ისე მეურნეობის შემოსავლიან-გასავლიანობის წყაროებიც.

მაგრამ მუშებს ამ საქმეს ნაკლებად ეკითხებიან ფაბრიკა-ქარხნების მეთაურნი, ვინაიდან მათი აზრით ეს მეურნეობათა სპეციალისტების საქმეა. სინამდვილეში კი ძალიან ხშირად ვხედავთ ხოლმე, რომ ამა თუ იმ მეურნეობის საქმე ძალიან ფერხდება და მას ვეღარ შველის ვერავითარი სპეციალისტიც.

ამას თვალყურს ადევნებს ამავე წარმოებაში ჩაბმული მუშა. ის გრძნობს, თუ რამ შექმნა მეურნეობაში ეს არანორმალური მოვლენა და ამის შესახებ მას აქვს თავის საკუთარი აზრიც. მაგრამ, როგორც ვიცით, ასეთ საკითხებში მის აზრს ნაკლებად იზიარებენ „სპეცები“. ამიტომ მუშკორის მიზანია, ამ შემთხვევაში ნამდვილი მუშის აზრი გამოიტანოს პრესაში და ამ უკანასკნელის საშუალებით გაუზიაროს ის როგორც უმაღლეს მთავრობას, ისე წარმოება-მეურნეობის მესვეურთაც.

რომ ასეთ სურვილებით აღჭურვილ მუშებს, რაიმე დაბრკოლება არ ექნეთ, ჩვენ ვაცხადებთ მათ საყურადღებოდ შემდეგს:

1) ყოველ კვირა-დღე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში დილის 10—1 საათამდე იმართება მუშა-კორესპონდენტების კრება, სადაც რედაქცია იძლევა დირექტივებს და განმარტებებს მუშა-კორესპონდენტების მოვალეობის შესახებ.

მუშურ მწერლობით დაინტერესებულ პირს, ამ კრებებზე დასწრება საკმაო მომზადებას მისცემს და მომავალში გახდის მას ნამდვილ მუშა-მწერლად.

2) თვით ფაბრიკა-ქარხნებში სპეციალურად დაიარებიან ცნობების მისაღებად გაზ. „კომუნისტის“ თანამშრომელნიც, რომელთაც ადგილობრივ ევალებათ და შეუძლიათ ყოველგვარი დარიგება მისცენ მუშებს შესახებ იმისა, თუ როგორ და რა საგანზე უნდა დაიწეროს მუშის წერილი. ყველა ეს ზომები ჩვენ მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ნამდვილი სურათი მუშათა ცხოვრებისა და ახლოს გავეცნოთ მათ შეხედულებას საბჭოთა აღმშენებლობაზე

მუშკორი გგ—ანი.

მიწა-ტყის კავშირის კულტ-განყოფილების მუშაობა.

ერთი თვის განმავლობაში კულტ-განყოფილებამ მოახდინა ორ სკოლაში მიწათ მოქმედების კომისარიატის და ბოტანიკური ბაღის ადგილკომთან არსებულ წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია, რომელშიაც მეცადინეობდა ორი ჯგუფი: ქართული და რუსული. აღნიშნულ ჯგუფის მეცადინეობა სრულებით დამაკმაყოფილებელია. ზემოხსენებულ ორ სკოლაში გამოცდები ჩააბარა ოცდაორმა მუშამ. მიწა ტყის კულტ-განყოფილებამ შეიძინა სახალხო მამულების და მიწათ მოქმედების ადგილკომებისთვის სამასი ცალი რუსულ-ქართული, პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის წიგნები, რომლებიც გადუგზავნა სახალხო მამულების ადგილკომებს. დაგზავნილ იქნა ყველა სახალხო მამულების ადგილკომებში კავშირის წევრების და მათი შვილების წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობის გამოსარკვევად სათანადო ანკეტები, რის შესახებ მამულის ადგილკომების მიერ მიღებულია შევსებული საანკეტო ფურცლები და ახლო მომავალში შევსებულ ანკეტებს წარუდგენს პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებას. მომავალი სამოსწავლო წლისათვის კულტ-განყოფილებამ გამოჰყო ორი კავშირის წევრი მოსკოვისა და პეტროგრადის მუშათა ფაკულტეტებზედ გასაგზავნად.

მიწა-ტყის კავშირის კულტ-განყოფილებამ კავშირის წევრთა შორის გაავრცელა, სრულიად რუსეთის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემული რუსული ორკვირეული ჟურნალი და ადგილობრივი ჟურნალ გაზეთები: როგორც პროფესიონალური ორგანო გაზეთი „მუშა“, აგრეთვე „კომუნისტი“, „მიწის მუშა“ და რუსული გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“, რიცხვით 225 ცალი და მომავალშიაც მიზნათ ისახავს ფართედ იქნეს გავრცელებული, კავშირის წევრთა შორის ზემოხსენებული ჟურნალ-გაზეთები. შედგენილია სია კავშირის წევრებისაგან სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად და ახლო მომავალში გაგზავნის ხსენებულ გამოფენაზედ. ამასთანავე ერთად აღძრულია შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების კომისარიატის საგამოფენო კომიტეტის წინაშე, რათა ექსკურსანტებს აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება. ზემოხსენებული შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და 17 კავშირის წევრს ეძლევა სამოგზაურო ფული საგამოფენო კომიტეტის თანხებიდან. ამასთანავე ერთად მიწა-ტყის კავშირის კულტ-განყოფილებამ მომავალ სამოსწავლო წლისათვის კავშირის წევრებისაგან გამოჰყო 6 ამხანაგი, რომლებიც გაგზავნილ იქნებიან თბილისის ქართულ და რუსულ მუშათა ფაკულტეტებზე. კულტ-განყოფილების მიერ ივლისის თვის განმავლობაში ქართლის სახალხო მამულთან გამართული იქნა სასოფლო-სამეურნეო შინაარსის ოთხი საუბარი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე გლეხობაში.

მუშკორი: ა. ბ—ძე.

მუშათა ქრონიკა.

— **საჰაერო ფლოტისათვის.** სადგურ თბილისის მოძრაობის ღარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა, გადადებულ იქნას საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ დღიური შრომის ხელფასი თვეში ერთხელ, სამი თვის განმავლობაში.

— **კოოპერატიული პური.** ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების დუქნებიდან პური ეძლევათ მხოლოდ აღნიშნულ საზოგადოების წევრებს, რისთვისაც საჭიროა სათანადო ბარათების შეძენა.

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გამოყოფილ იქნა კომისია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საექიმო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის და საქ. კომპარტიის ცენტრალ. კომიტეტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

გემო-კვების კავშირი.

სასპორტო წრეები.

გემო-კვების კავშირის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მდივანთა თათბირმა, მიიღო რა მხედველობაში ფიზიკურ კულტურის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა მასებისათვის, დაადგინა სასწრაფოთ იქნას დაარსებული სასპორტო წრეები 6 რაიონში ყველაზე უფრო დიდ ქარხნებთან.

სასპორტო წრეებში მიიღებიან კავშირის ყველა მსურველი წევრები.

ხეზე მომუშავეთა კავშირში.

საურთიერთო დახმარების კასის ბიუროს მუშაობა.

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში საურთიერთო დახმარების კასაში შემოვიდა 44 მიმართვა, გაცემული იქნა 36 დასაბრუნებელი სესხი 574 042.000 მან. და 3 დახმარება 11.450 000 მან. პროცენტულად დასაბრუნებელი სესხი უდრის 98 პროცენტს, დახმარება 2 პროცენტს.

სესხები მოკლე ვადიანია (არა უმეტეს 3 თვისა). გაცემულ სესხების რიცხვიდან დაიფარა სრულიად 14, ნაწილობრივად 8, არ დაფარულა 14. კასის საშუალებებს შეადგენს ნახევარი დღის და ერთ პროცენტიანი ყოველთვიური გადასახადები. სულ შემოვიდა 397.877.000 მ. კასის მონაწილეების რიცხვი უდრის 218 კაცს, შემოსულ განცხადებათა თანახმად. თუ მივიღებთ მხედველობაში საკავშირო კასის მონაწილეთა რიცხვს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერესი საურთიერთო დახმარების კასისადმი იზრდება და მუშებმა სავსებით შეიგნეს ასეთის მნიშვნელობა.

საურთიერთო დახმარების კასები დაარსებულია ადგილებზედაც უფრო მსხვილ რესპუბლიკანურ ცენტრებში—სოჭილავოში, სუმბათოვოში და ბორჯომში. უნდა აღვნიშნოთ, რომ კასის მონაწილეების 90 პროცენტს შეადგენენ მომუშავე წევრები.

კავშირის გამგეობამ, მოისმინა რა კასის ბიუროს მოხსენება, სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო მისი მუშაობა.

გადასწყდა მიექცეს ყურადღება საურთიერთო დახმარების კასების გაძლიერებას პროვინციაში და კავშირში ყველა წევრების სათანადო კასებში ჩაბმას.

ხეზე მომუშავეთა კავშირის 3-ე ყრილობა.

ხეზე მომუშავეთა კავშირის გამგეობამ დააწესა წარმომადგენლობის ნორმა სრულიად საქართველოს მომავალ მესამე ყრილობაზე—თითო დელეგატი ყოველ 20 ამომრჩეველზე. ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ 15 აგვისტომდე წარმოადგინონ კავშირის ცენტრალურ გამგეობის საანგარიშო მასალა ყრილობისათვის.

ტფილისის აღმასკომის პლენუმი

(9 აგვისტოს სხდომა).

აფიშების გაკვრის მოწესრიგება.

(ამხ. დოლიძის მოხსენება).

აფიშების, პლაკატების და სხვ. გაკვრის მოწესრიგების მიზნით და ქუჩების დამახინჯების თავიდან ასაშორებლად, ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის თანახმად აფიშების, პლაკატების და სხვ. გაკვრა ნებადართულია მხოლოდ სპეციალურად ამისათვის მიჩენილ ადგილებზე, ტუმბებზე და ფარებზე; დანარჩენ ადგილებზე გაკვრა აკრძალულია. მაგრამ არის მთელი რიგი დაწესებულებათა, რომელნიც ილაშქრებენ ამ დადგენილების წინააღმდეგ. აფიშების და პლაკატების გაკვრისათვის დაწესებულია გადასახადი 1 კაპ ჩერვონცით თვითეულ კვ. არშ. დღეში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა დაადგინა დამტკიცებულ იქნეს დადგენილება შემდეგი შესწორებებით: აღმასკომის მიერ, სათანადო გასაკვრელ ადგილების მოწყობამდე ქალაქის განაპირა კუთხეებში სააგიტაციო ხასიათის პლაკატების გაკვრა ნებადართულია სხვა ადგილებზედაც.

გადასახადი სანახაობათა და გასართობებზე.

(ამხ. დოლიძის მოხსენება).

ადგილობრივ გადასახადების დეკრეტის და შემდეგ დამატებათა და განმარტებათა თანახმად, აღმასკომმა შემოიღო გადასახადი სანახაობათა და გასართობებზე. მთელი რიგი დაწესებულებათა ილაშქრებს ამ დადგენილებას ცხოვრებაში გატარების წინააღმდეგ.

საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ აღმასკომმა დაადგინა დააწესოს გადასახადი მუშათა კლუბებში შესასვლელ ბილეთებზე 5 პროც. რაოდენობით, კავშირის წევრნი მუშათა კლუბებში მაგიდის გადასახადისაგან თავისუფალი არიან, დანარჩენი მოქალაქეები კი იხდიან მაგიდის დაკავებისათვის 500 ათას მან. და მე-2 მუშათა და 1-ელ წითელ არმიელთა კინემატოგრაფებში შემოღებულ იქნას გადასახადი 10 პროც. რაოდენობით.

გადასახადი რეკლამებზე.

(ამხ. დოლიძის მოხსენება).

ამხ. დოლიძის მოხსენების გამო აღმასკომმა დაადგინა შეტანილ იქნეს სავალდებულო დადგენილებაში რეკლამებზე გადასახადის დაწესების შესახებ, შემდეგი ცვლილება: დაწესებულ იქნას აფიშებისათვის გადასახადი ნახ. კაპ. რაოდენობით კვ. ვერშოკზე, საბჭოთა რეკლამებისათვის კი 2 კაპ. კვ. ვერშ. თვიურად.

ქალაქის 3-ე საავადმყოფოს შეკეთება.

(ამხ. მესხის მოხსენება).

ქალაქის 3-ე საავადმყოფო (ვენერიული) საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა, რომლის თანახმად საავადმყოფოს სჭირდებოდა 22,500 მან. ოქროთი. მიიღო რა მხედველობაში, რომ ეს საავადმყოფო ემსახურება არა მარტო ქალაქს, არამედ მთელ რესპუბლიკას, არის რა იგი ერთად ერთი ვენერიული საავადმყოფო არა მარტო ტფილისისა და საქართველოსათვის, არამედ სომხეთისათვისაც, აღმასკომმა აღძრა ცენტრალურ ორგანოების წინაშე შუამდგომლობა შეკეთებაში მათი ნაწილობრივი მონაწილეობის შესახებ.

წინადადებით მიმართა ჯანმრთელობის და სახალხო განათლების კომისარიატებს, რომელნიც აგრეთვე არიან დაინტერესებულნი, რადგან ეს საავადმყოფო ემსახურება სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვენეროლოგიურ კლინიკის სახით, — ორივე ამ ორგანომ უარი განაცხადეს საშუალებათა უქონლობის გამო.

მიიღო რა მხედველობაში ქალაქის მე-3 საავადმყოფოს მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის, პლენუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შეკეთებაში რესპუბლიკის ორგანოების მონაწილეობის შესახებ; ამასთანავე ტფილისის აღმასკომი გაიღებს მთელი ხარჯების 25 პროც.-ს სხვა ყველა რესპუბლიკანურ ორგანოები 75 პროც.-ს

სკოლების პერსონალის ფულით დაკმაყოფილება.

(ამხ. ქაცარავას მოხსენება).

საბავშვო ბაღებს და საბავშვო სახლების პედაგოგიურ და ტეხნიკურ პერსონალის და შრომის სკოლების ტეხნიკურ პერსონალის დასაკმაყოფილებლად საჭიროა 14 მილიარდი მან. თვიურად. ამ დღეებში მიღებულია სახალხო განათლების სახ. კომისარიატის წინადადება დაკმაყოფილებულ იქნან შრომის სკოლების პედაგოგიური და ტეხნიკუმების ტეხნიკური პერსონალი ივლისის ჯამაგირებით. აღმასკომს არ აქვს ამჟამად საშუალება და საჭიროა გამოინახოს გამოსავალი.

საკითხის განხილვის შემდეგ აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ადგილობრივ ხარჯებიდან ტეხნიკუმების ტეხნიკურ პერსონალის შენახვის მოხსნის შესახებ, ვინაიდან ტეხნიკუმები იმყოფებიან სახ. განათლების კომისარიატის და არა ტფ. სახ. განათლების განყოფილების განკარგულებაში; რაც შეეხება შრომის სკოლების პედაგოგიურ პერსონალის დაკმაყოფილებას, აღძრას შუამდგომლობა დავალიანების დასაფარავად სუბსიდიების მიცემის შესახებ

ქრონიკა

— **მალარიასთან ბრძოლა.** სამალარიო ექსპედიციები უკვე შეუდგნენ მუშაობას კახეთში, ყარაიაზში, ზუგდიდ-სენაკის მაზრებში და რიონის ველის რაიონში. ოთხივე ექსპედიცია უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებით ერთ თვე ნახევარს.

— **ხოლერის საწინააღმდეგო აცრა.** ხოლერის საქართველოში შემოტანისაგან თავის დასაცავად საქართველოს ნავთსადგურში გამუდმებით სწარმოებს მგზავრთა ხოლერის საწინააღმდეგო სავალდებულო აცრა.

— **აბანოს აგება ცხინვალში.** ცხინვალში დაიწყო გაუმჯობესებულ ტიპის აბანოს აგება, რისთვისაც გახსნილია კრედიტი 2 393 მანეთის და 70 კაპ.

— **სამალარიო სადგურის შეკეთება.** სამალარიო სადგურში სწარმოებს შეკეთება საცდელ ცხოველების მოსათავსებლად.

— **სადეზინფექციო საკნების შეკეთება.** ჯანსახკომის აბანოების საჭიროებისათვის სწარმოებს შეკეთება 10 ცალი სადეზინფექციო საკნებისა.

— **უმუშევრები.** 8 აგვისტოს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 707 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები 469 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა 69

— **სახელმძღვანელოების გამოცემის უფლება.** სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის დადგენილების თანახმად, განათლების სახ. კომისარიატმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალულია სახელმძღვანელოების გამოცემა განათლების კომისარიატის ნებადაურთველათ

— **დახმარება საჰაერო ფლოტს.** კოლოფების ქარხნის მუშებმა წითელ საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ თავიანთ შორის შეაგროვეს 63 მილ. მან.

— **საქართველოს თამბაქო უცხოეთში.** საქართველოს მეთამბაქოეთა კავშირმა ინგლისის ერთ-ერთ ფირმასთან დასდო ხელშეკრულება 12,000 ფუთი თამბაქოს მიყიდვის შესახებ.

— **დანიელ ჭონქაძის ძეგლი.** დანიელ ჭონქაძის პატივის მცემლებისაგან შესდგა წრე, რომელსაც განზრახვა აქვს განსვენებული მწერლის საფლავზე ააგოს ძეგლი.

— **არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმე.** არა სრულწლოვან დამნაშავეთა განმხილველ კომისიაში, ივლისისათვის დარჩენილი იყო 7 დაუმთავრებელი საქმე. ივლისის განმავლობაში შემოვიდა 53 საქმე, ბრალი ედებოდათ სულ 65 ბავშს, მათ შორის 7 ქალია.

— **სამუსიკო სიმების სახელოსნო.** სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს სამუსიკო სიმების დამამზადებელი სახელოსნო. ამ მიზნით უკვე გადადებულია საჭირო თანხა.

— **საისტორიო-საგეოლოგიო ექსკურსია სვანეთში.** უცხოელი მოგზაურების ჯგუფი გაემგზავრა ზემო-სვანეთში ადგილობრივ სიმდიდეთა და მდებარეობის შესასწავლათ. ამავე მიზნით ამ დღეებში აღნიშნულ მხარეში მიემგზავრებიან პროფესორები აკაკი შანიძე და ი. მოსეშვილი.

— **შეფობა სოფელზე.** ა.-კ. საფინანსო კომისარიატის თანამშრომლებმა 5 აგვისტოს მიიღეს კულტურული შეფობა სოფ. ასურეთზე.

— **მანდარინის მოსავლის შემცირება.** მომეტებულ სიცხეების გამო ჩაქვაში მანდარინის მოსავლის 60 პროცენტი დაიღუპა. დანარჩენი ძვირფასი მცენარეულობის მდგომარეობა ნორმალურია.

— **გადასახადის შემოღება შემოსავლისა და ქონების მიხედვით.** ა.—კ. საფინანსო კომისარიატი იმუშავებს დადგენილების პროექტს შემოსავლისა და ქონების კვალობაზე გადასახადის შემოსაღებათ.

— **პირდაპირი მავთულით ლაპარაკი.** ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა დაადგინა, 10 აგვისტოდან პირდაპირი მავთულით ლაპარაკის საშუალება მიეცეს როგორც სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს, ისე ყველა მოქალაქეს ყოველგვარი ნებართვის და მოწმობის გარეშე.

— **შოფერების საქმე.** 2 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალმა გაარჩია შოფერების ამირაძის, სვანის და შანოიანცის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ავტომობილების უწესრიგოთ წაყვანა და მგზავრების დაშავება. რევტრიბუნალმა ამირაძე და სვანი სასჯელისაგან სრულებით გაანთავისუფლა, ხოლო შანოიანცი ა.—კ. ცალკე არმიის ავტომობილების სახელოსნოს შოფერს, ავტომობილის ხშირათ არანორმალურათ წაიყვანის და მოქალაქე არუტინოვის სასიკვდილოთ დაშავებისათვის მიუსაჯა სამი წლის თავისუფლების შეზღუდვა და 5 წლით შოფერობიდან მოხსნა.

— **დაჰკარგა:** 4 კლ. მოწმობა № 58, მოცემული სოფ. ლაშის სასწავლებიდან ანა კამკამიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დამსახურებული სახალხო მასწავლებლის იუბილესთვის

ამა წლის იანვარში შორაპნის მაზრის მასწავლებელთა კავშირის კრებაზე ამხ. გრ. კვაშილავას წინადადებით ერთხმად გამოტანილ იქნა დადგენილება: დამსახურებულ მცხოვან მასწავლებლისათვის, იასონ კაპანაძისთვის იუბილე გადაეხადათ მისი 47 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად როგორც პედაგოგიურ სარბიელზე, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ერთი-ორი თვის შემდეგ ქალ. ჭიათურაში მასწავლებელთა კრებამ მოაგონა კავშირის თავმჯდომარეს ამხ ქვაშილავას ამ იუბილეს შესახებ. განმეორებით იქნა გამოტანილი დადგენილება იასონ კაპანაძისთვის იუბილეს გამართვის შესახებ. სამწუხაროთ ეს დადგენილება ჯერაც სისრულეში არ არის მოყვანილი.

ვინც გაცნობია იასონის ბიოგრაფიას ჟურნალ „განათლება“-ს ორ ნომერში, ან ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ ამოუკითხავს მისი ნამოწაფრის წერილები, იგი დამეთანხმება, რომ იასონისთვის ეხლა, 47 წლის სამსახურის თავზე კი არა, ამ 20—25 წლის წინათაც უნდა გადაგვეხადა იუბილე არა როგორც მარტო პედაგოგისათვის, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწისათვისაც; ის დღესაც, თუმცა მეტად მოხუცია, დაუღალავად მუშაობს თავის სოფლის თემის საბჭოში და სოფელს თუ რამე საქმე აქვს,—ხშირად მასვე ანდობენ ხოლმე.

ამ 47 წლის განმავლობაში მთელი სიცოცხლე იასონის, მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენდა ბრძოლას ნივთიერ სიღარიბესთან, ბრძოლას გლეხის უვიცობასთან და, უმეტესად, ბრძოლას ძველი რეჟიმის უკუღმართ ინსპექტორ-დირექტორებთან და მაზრის უფროსებთან. მას თუმცა ბევრი გაჭირვება და ტანჯვა უნახავს სოფლის მასწავლებლობის ასპარეზზე, მაგრამ ერთხელაც არ უღალატნია თავის იდეალისთვის, რასაც მოწმობს მისი წიგნაკი—„Голос сельскаго учителя“ და სხვადასხვა გაზეთებში მისი გაფანტული წერილები. მან პირველად ამოიღო ხმა აბუჩად აგდებულ სოფლის სასწავლებლებზე და მათ გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობაზე, დაბეჭდა კიდეც წიგნი რუსულ ენაზე ამხანაგების დახმარებით.

იასონისთვის იუბილეს გადახდა—ეს ხომ მარტო მისი პატივისცემა არ არის: ამით ჩვენ პატივს ვსცემთ იმ წმიდა დიად საქმეს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ან იასონი ემსახურებოდა და ემსახურება ამ 47 წლის განმავლობაში; ამით ჩვენ ანგარიშს უწევთ და პატივსა ვსცემთ იმ სოფლის მეურნეს, რომელსაც იასონი ემსახურებოდა და რომელიც მრჩენელია, დედა-ბოძი და ბურჯია ჩვენი ქვეყნის. დღეს მისი ნამოწაფრები, უმეტესად გლეხის შვილები, გაფანტულნი არიან საქართველოს საბჭოთა სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც ერთგულად ეწევიან სამსახურს, ვინ ექიმობის როლში, ვინ მასწავლებლობისაში, ვინ რკინის გზებში, სადგურის უფროსებად, ტელეგრაფისტებათ და სხვა.

ამ ზაფხულზე იუბილე გადუხადეს ასოთ-ამწყობებს, არტისტებს, ლოტბარებს და სხვებს, მაგრამ ამათ რომ მასწავლებლები არ ყოლოდათ, განა ან არტისტები, ან ასოთ-ამწყობები, და ან ლოტბარები გვეყოლებოდენ?! მესამოცდაათე წლებში სერგო მესხმა „დროების“ რედაქტორმა, როდესაც ოთხასამდე გაზეთის ხელისმომწერი იშოვა, სიხარულით ცამდე ხელი აუწევდა, დღეს კი ერთი გაზეთის მაგიერ რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი გამოდის და ოთხასი მკითხველის მაგიერ რამდენიმე ათასი მკითხველი მოგვეძევა,—და ეს სულ მასწავლებლების შრომას უნდა მიეწეროს.

ჩვენი რესპუბლიკის სათავეში მყოფთა უმრავლესობამ განა პირველი ცოდნა განათლება სოფლის მასწავლებლებისგან არ მიიღეს?! საჭიროა და თანადროულია სოფლის დამსახურებულ მასწავლებელთა დაფასება და ცენტრალური ადგილობრივი მთავრობის ყურადღების აქეთ მიპყრობა.

სოფლის მასწავლებლის შრომა, თუ ის პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობა-დანიშნულებას, ყველა შრომაზე უფრო ძნელია. ერთი გამოჩენილი პედაგოგი სოფლის მასწავლებლის შრომის შესახებ ამბობს შემდეგს: „ძნელია პროფესორობა უნივერსიტეტისა, ამაზე უძნელესია გიმნაზიის მასწავლებლობა, მაგრამ ყველაზე უძნელესი და აუტანელი სოფლის მასწავლებლობაა“, სრული ჭეშმარიტებაა და ამას მიხვდება მხოლოდ ის, ვისაც სოფლად უმუშავნია სწავლა-განათლების დარგში:

კარგი იქნება, პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. გრ. ქვაშილავა და სწავლა-განათლების განყოფილების გამგე ჯველესიანი გაამართლებდენ თავის დაპირებას და შეუსრულებდენ სურვილს მასწავლებლებს: საჭიროა ეხლავე შესდგეს საიუბილეო კომისია ენერგიით აღსავსე წევრებისაგან, რომლებიც აფასებენ და შეგნებულად ეპყრობიან თავის სამსახურს და მოუწოდონ ყველა მასწავლებლებს და იასონის ნამოწაფრებსაც მიიღონ მონაწილეობა იუბილეს გამართვაში და მის 47 წლის პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობის დაფასებაში.

დროებით ზესტაფონელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება 28

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ.

შრომის ინვალიდთა და მშრომელთა იმ ოჯახების წევრთათვის, რომლებმაც დაჰ-კარგეს მარჩენალი და აგრეთვე დამატებითი სახეთა (მოსავლელად, საკვებად და დასასაფლავებლად) და უმუშევრობისათვის დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ, ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის და სრულ. რუსეთის პროფკავშირის ცენტრალ. საბჭოს ა. კ ბიუროს ამა წლის 20 ივლისის თარიღით გამოქვეყნებულ დადგენილება № 63 თანახმად, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის ინვალიდთა და დაზღვეულის მარჩენალის გარდაცვალების და უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრთა, უმუშევართა და აგრეთვე დამატებითი სახეთათვის [illegible] გამოსაანგარიშებლად, ა. წ. აგვისტოსათვის საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაწესდეს 8 მ. 21 კაპ. (რვა მანეთი და ოცდა ერთი კაპ.) საქონლის მანეთებში, რაც ა. კ. ფულის ნიშნებით შეადგენს 19.634.625 მან. (ცხრამეტ მილიონს, ექვსას ოცდა თოთხმეტს ათასს, სამას ოცდა ხუთს მანეთს).

2 დაზღვევის კასებს ადგილობრივად ევალებათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაზღვეულთათვის დახმარებათა გამოსაანგარიშებლად იხელმძღვანელონ ზემო-აღნიშნულ ხელფასით (19.634.625 მან.) როგორც მაქსიმალური, ამის შესახებ არსებულ ფორმებისა და კატეგორიების მიხედვით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

სოციალ. დაზღვევის სამმართველოს უფროსი **კ. ცომაია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილება აძლევს წინადადებას, რათა გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში შემდეგი ამხანაგები: 1) ნინო ალექსანდრეს ასული ბერიძე, 2) ოლღა იაკობის ასული მაზავაროვა, 3) რკინის გზის საავადმყოფოს თანამშრომელი მამულაშვილი და 4) ექსპედიციის მოანგარიშე მათიკო მიქაძე.

ც. კ—ის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყ. მდივანი ტორჩინავა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტებში იგზავნებიან შემდეგი ამხანაგები: აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში—პიტოევი, სვერდლოვის სახელობის უ—ში—ქაჯაია, ზინოვიევის—ანთიძე; დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კომუნისტურ უნივერსიტეტში—ამხანაგები: გროკისი, ამო და ხენკე.

ყველა ჩამოთვლილი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში არა უგვიანეს 20 აგვისტოსი.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააგ.-საპრ. განყოფილება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება დღეს, 11 აგვისტოს, დილის 10 საათზე კომ. პარტ. ტფილისის კომიტეტის ბინაზე იწვევს საქართველოს კომუნისტური პარტიის, კომუნისტ. ახალგაზრდ. კავშირის და ტფილისის სამხედრო სასწავლებელთა სამმართველოს ბიუროების გაერთიანებულ სასწრაფო სხდომას. (სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია და სხვ.).

მოწვეული არიან: ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე, წარმომადგენელნი ცენტრალურ კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის კომუნ. ახალ. კავშირისა, სახალხო განათლების კომისარიატისა, პროფკავშირთა საბჭოსი და პერსონალურად შემდეგი ამხანაგები: ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, გერასიმოვი, ეზიაშვილი.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის კომუნისტურ სტუდენტობის ბიუროს მდივნის ამხ. ვოსკანიანისა „კომუნისტური სტუდენტობის უახლოეს ამოცანებზე“. 2) მიმდინარე საქმეები.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტ. სააგ.-საპრ. განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, ვისაც საწინააღმდეგო აქვს რამე ქვემოხსენებულ პირთა შესახებ, რომლებიც მიიღებიან პარტიულ წევრთა კანდიდატებათ და კანდიდატობიდან წევრებათ გადიყვანებიან, მოგვაწოდონ მასალები საუბნო კომიტეტში სამი დღის განმავლობაში.

მიიღებიან კანდიდატებად: 1. ცურინოვი კონსტანტინე—უჯრედი № 1, 2) შატვორიანი მოვსეს გ. № 3, 3) ოგანიანცი მინას 12, 4) ბელიაევი ალექსანდრე პ. 8, 5) მახრაშვილი ვლადიმ. ზ. 10, 6) სლეპცოვი პანტელეი ე. 10, 7) ნიკოლაევი ანდრეი ვ. 10, 8) კოსიასი ტიმოფ. ს. 19, 9) ზარდალიშვილი ივანე ფ. 25, 10) სარკისიანი ალექსანდრე მ. 5, 11) კაპელნიცკი ემილი ნ. 25, 12) ლუკიანოვი მიხეილი გ. 49, 13) ლეჟავა კაპიტონი 18, 14) მინასიანი არუთიუნი ს. 8, 15) ტარასენკო ნიკოლ. კ. 8, 16) ტკაჩენკო გრიგორი ნ. 1, 17) სორინი აბრამ ზ. 1, 18) მარჯანიან ოჰანეს ნ, 1, 19) პაიაზეთიან გევორქ ა. 11, 20) წერეთელი კონსტანტინე ა. 2, 21) დემუროვი იოსები ა. 4 22) ეფიმოვი ალექს. პ. 7, 23) ლინეცკი აბრამ ი. 13, 24) ალეკიანი ვაღარშაკა 7, 25) სტეფანოვი სტეფანე კ. 7, 26) ისაკოვი ლევან ნ. 17, 27) ავეტისოვი გრიგოლი გ. 19, 28) პოლიანი ლუარს. გ. 16, 29) ლეჟავა ოლღა კ. 27, 30) ჩერნიავსკი ვლადიმ. ა. 5. 31) მოროზოვი ტიხონი ე. 5, 32) მეგრელიძე კონსტ. დ. 5, 33) ანუფრიევი ანტონ ფ. 17.

გადაიყვანებიან წევრებად: 1) ქუზლოვი ივანე ა. 13, 2) აღლაძე ვლად. ლ. 43, 3) ევსენკო ევსეი ა. 35, 4) პეციუხა ანდრეი ვ. 17, 5) ზისკის იზრაილ მ. 17, 6) კამარაული ალექსანდრე 12, 7) ჩიტოიანი ბალდასარი ტ. 13, 8) კორა მაქსიმ ლ. 8. 9) გრიადუნოვი 8, 10) როჟდესტვენსკი ანტონი დ. 15.

პასუხისმგებელი მდივანი არუტანოვი.
სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

განცხადებები

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება № 23.

9 აგვისტო 1923 წ.

ადგილობრივ გადასახადთა ა. წ. 2 აპრილის ა.-კ. აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ა. წ. 15 აგვისტოდან შემოღებულ იქმნას ქალაქში მცხოვრებთა თვითეული გაწერაზე გადასახადი ჩერვონის კაპეიკებში შემდეგი სახით:

1) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 10—25 საქონლის მანეთამდე და მათი ოჯახის წევრებს გადახდეს 5 კაპეიკი

2) მუშა-მოსამსახურეთ თვიური ჯამაგირით 25 საქონლის მანეთის ზევით, მათ ოჯახის წევრებს და დანარჩენ მოქალაქეთ გადახდეს 10 კაპეიკი.

3) სრულიად განთავისუფლდეს გადასახადისაგან:

ა) მუშა-მოსამსახურენი თვიური ჯამაგირით 10 საქონლის მანეთამდე, ოჯახის წევრებით.

ბ) უმუშევარნი სოციალურ-დაზღვევის უფლებით მოსარგებლენი ოჯახის წევრებით.

გ) სოციალურ უზრუნველ-ყოფაზე მყოფნი ინვალიდები და ღარიბ-ღატაკნი ოჯახის წევრებით.

შენიშვნა: ოჯახის წევრად ითვლებიან: ქმარი და ცოლი, თუ თვითეულ მათგანს ცალკე შემოსავალი არ აქვს; შვილები 17 წლამდე და მშობლები საკუთარ შემოსავალს მოკლებულნი.

4. თვით გადამხდელნი და აგრეთვე სახლის პატრონები და კომენდანტები ვალდებულნი არიან სწორი სათანადო ცნობები მიაწოდონ სამისამართო მაგიდის თანამშრომლებს, რომლებიც მცხოვრებთა გაწერას აწარმოებენ.

5. ყალბი ცნობების მიწოდებისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დაჯარიმებით 25 ჩერვონის მანეთამდე, ან და დაპატიმრებით, ადმინისტრატიული წესით, ვადით 1 თვემდე.

აღმასკომის თავმჯდომარე: **ხუხიშვილი.**
კრ. 561—2—2 მდივანი: **ფალავა.**

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე **ი. პალატნიკოვი.**

0—16

ელექტრონის სინათლის და

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

ავადმყოფთა სწორმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25 16

დაჰკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი, მიღებული 1923 წლის 11 ივლისს ანნა ალალოს ასულის ნაზარიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1061—1—1)

დაჰკარგე მოწმობა მიღებული ხონის სამასწავლებლო სემინარიიდან № 196. დავით პავლესძე ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1060—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კ-ზენშტეინის ქუჩა № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა